THE CELEBRATION OF MAY 26, 1988 IN GEORGIAN EMIGRATION (FRANCE, UNITED STATES OF AMERICA)

1988 წლის 26 მაისის დღესასწაული ქართულ ემიგრაციაში (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები)

EDISHER NARIMANIDZE
Doctor of History, Associate Professor of Samtskhe - Javakheti State University,
Akhaltsikhe, Rustaveli St., №113, 0800, Georgia, +995599019710; +995579090174,
en9011974@yahoo.com; en9011974@gmail.com,
https://orcid.org/0009-0000-4048-6808

Abstract: The work addresses the commemoration, on May 26, 1988, of the 70th anniversary of the restoration of Georgia's national state independence (May 26, 1918) by the Georgian emigration community in France and the United States of America.

The study presents, in a relatively comprehensive and objective manner, the situation that prevailed on the 70th anniversary of the restoration of Georgia's national state independence (May 26, 1918) both among the Georgian emigration and in Georgia, which was conquered by Soviet imperial Russia in February-March 1921, in the context of efforts to restore Georgia's national state independence. The issue is presented on the basis of a critical study of primary sources (materials from the Georgian émigré and Soviet periodical press) and specialised scholarly literature, and is analysed and interpreted in a relatively comprehensive, novel, and objective manner.

The main result of the study is that, based on critical examination of previously unknown and unpublished materials from the Georgian émigré periodical press, newly introduced into scholarly circulation, alongside specialised academic literature, Georgian historiography has examined and analyzed the commemoration of the 70th anniversary (May 26, 1988) of the restoration of Georgia's national state independence among the Georgian émigré communities (France, United States), against the backdrop of the renewed and ongoing national movement in Georgia in the late 1980s, aimed at restoring national state independence.

Given the current geopolitical context in the Caucasus, this research holds both theoretical and practical significance.

Key words: 1988; May 26; France; United States of America; Georgia; Georgian Emigration; National Movement.

ედიშერ ნარიმანიძე
ისტორიის დოქტორი, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113, 0800, საქართველო,
+995599019710; +995579090174,
en9011974@yahoo.com; en9011974@gmail.com,
https://orcid.org/0009-0000-4048-6808

აბსტრაქტი. ნაშრომი ეხება საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებში, ქართული ემიგრაციის მიერ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) 70-ე წლისთავის აღნიშვნას 1988 წლის 26 მაისს.

კვლევაში შედარებით სრულად და ობიექტურადაა წარმოდგენილი ის ვითარება, რომელიც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) 70-ე წლისთავზე სუფევდა ქართულ ემიგრაციასა და 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა იმპერიული რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. პრობლემის ირგვლივ არსებული პირველწყაროების (ქართული ემიგრანტული და საბჭოთა პერიოდული პრესის მასალების) და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის და შედარებით სრულად, ახლებურად და ობიექტურად გააზრება-გაანალიზების საფუძველზე გაშუქებულია აღნიშნული საკითხი.

კვლევის ძირითადი შედეგია ის, რომ სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი ქართული ემიგრანტული პერიოდული პრესის მასალებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ქართულ ემიგრაციაში (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავის - 1988 წლის 26 მაისის აღნიშვნა, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს განახლებული და „მიმდინარე“ ეროვნული მოძრაობის ფონზე.

კავკასიაში შექმნილი თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: 1988; 26 მაისი; საფრანგეთი; ამერიკის შეერთებული შტატები; საქართველო; ქართული ემიგრაცია; ეროვნული მოძრაობა.

შესავალი. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო დღემდე ვერ მოხერხდა ქართული ემიგრაციის ისტორიის და, შესაბამისად, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის ღრმა მეცნიერული შესწავლა. 1921-1989 წლებში ისტორიული პრობლემების ნამდვილი მეცნიერული კვლევა შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური „კლიმატის“ გამო. სულიერ ცხოვრებაზე საბჭოური იდეოლოგიის მავნე ზეგავლენა ყველაზე მეტად უახლესი ეპოქის ისტორიულმა საზრისმა იწვნია. ეს ნაკლი მთლიანად ვრცელდება საქართველოს უახლეს ისტორიაზე. XX საუკუნის საქართველოს ისტორია შეისწავლებოდა ერთი ყალიბით, ერთნაირი მეთოდოლოგიით: ისტორიის შექმნის საბჭოური პრინციპი ხშირად ყალბი მითების შექმნის პროცესს გვაგონებს. იქმნებოდა ფერადოვანი ზღაპრები მოვლენების, ფაქტების შეფასების თვალსაზრისით. „ერთადერთი სწორი მოძღვრების“ იდეოლოგიური დიქტატით, საბჭოური ისტორიოგრაფია იქმნებოდა მმართველი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმების „ბრძნული ისტორიული დადგენილებების“ შუქზე. ისტორია იწერებოდა „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპზე დაყრდნობით, - სასურველი რეალურ სინამდვილედ საღდებოდა. იგი მოწოდებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი პროგრესის ბაირახტრად წარმოესახა ბოლშევიზმი და საბჭოური ეპოქა წარმოედგინა ქართველი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინების ხანად, მისი საუკუნეობრივი ოცნების პრაქტიკულ განხორციელებად. ასეთი მიდგომა ვრცელდებოდა მთელ ისტორიულ პროცესზე, ამასთან კლასობრივი ბრძოლის გენერალიზაციის ამორალური საფუძვლით. ცხადია, ყოველივე ამას სავალალო შედეგები მოჰყვა. იმის გამო, რომ ბოლო დრომდე საბჭოთა მკვლევართა დიდი წრისათვის უცნობი იყო დიდძალი საარქივო მასალა, ბევრი დოკუმენტიც გასაიდუმლოებული, ტაბუდადებული და პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო, რათა ვინმეს ეჭვი არ შეეტანა საქართველოში კომუნისტური პარტიის „უდიდეს ღვაწლში“, იმაში, რომ სწორედ კომუნისტური პარტია იყო მისი „მხსნელი, წარმატებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, ხდებოდა ყალბი დოკუმენტების შედგენა, მათი შეტანა სამეცნიერო ბრუნვაში და გაყალბებულად, ობიექტური, მეცნიერული ანალიზის გარეშე მათი გაშუქება. ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გაყალბება მიზნად ისახავდა საბჭოთა

ხელისუფლების განმტკიცებისა და კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის გაზრდისათვის, ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკის დამსახურების გაზვიადებულად წარმოჩენისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის ხელშეწყობას, მათგან ზურგშექცეული ხალხის ფართო მასების მათ მხარეზე გადაყვანას. ისტორიის ავსულებს ფერიულ სამოსელში გამოწყობილ ადამიანთა მოდგმის სიკეთისათვის დამაშვრალ ზეკაცებად ხატავდნენ. მსხვერპლი შეიქმნა აუცილებელი იმ შიშის ჩასანერგად, რითაც შესაძლებელი გახდა ასეთი ავტორიტეტის შექმნა (მაგ., მკვლევარს არავინ მისცემდა უფლებას მზის სინათლეზე გამოეტანა 1921-1924 წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში დატრიალებული სისხლისმღვრელი მოვლენები, ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული); საბჭოთა სტერეოტიპების გავლენის და წნეხის ქვეშ შეუძლებელი აღმოჩნდა პროფესიული ეთიკისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვა, ამიტომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მკვლევარების ნაშრომები ეპოქის იდეოლოგიურ ზეგავლენას ვერ აცდნენ. ბევრი მკვლევარი იცნობდა რეალურ ისტორიას (საბჭოურს თუ ემიგრანტულს), თუმცა ხმამაღლა საუბარს, მითუმეტეს წერას, თავს არიდებდა. და მაინც, რისკზე წასულ მკვლევარს უეჭველი დაპატიმრება, ხოლო მის გამოკვლევას - განადგურება ელოდა; ქართველ საბჭოთა მკვლევართა მიერ მკაცრი ცენზურის პირობებში, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიქმნა ვიწროკლასობრივი და პარტიული პოზიციებიდან გამომდინარე ნაშრომები (მაგ., მიხეილ კახიანი, კიდევ ერთხელ ემიგრაციის შესახებ, თფ., 1927; ლევან ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თფ., 1927; ფარნაოზ ლომაშვილი, ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბ., 1965 და სხვ.), სადაც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის, და რაც მთავარია, ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკვანძო საკითხები ტენდენციურად, ცალმხრივად განიხილებოდა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თემაზე შექმნილი ნაშრომების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დასაბუთება იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სუბიექტურ - ობიექტური წანამძღვრები „სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვებისათვის, რომ საქართველოში მოხდა „სახალხო აჯანყება“ დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) წინააღმდეგ; ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოში მიმდინარე ეროვნული თვითშეგნების აღორძინების პროცესი „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად“ მონათლა, ხოლო 1921-1924 წლების ანტიბოლშევიკური გამოსვლები, და მათ შორის 1924 წლის აგვისტოს აჯანყება - „მენშევიკურ ავანტიურად“).

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, საჯაროობისა და დემოკრატიზმის აღორძინების შემდეგ (1991 წ.) გახდა შესაძლებელი წარსულის - XX საუკუნის საბჭოთა საქართველოს ისტორიის (მათ შორის 1921-1924 წწ. ისტორიის) და ქართული ემიგრაციის ისტორიის (მათ შორის პოლიტიკური ისტორიის) ობიექტურად, მიუკერძოებლად გაშუქება და შეფასება. ეს სამმა ფაქტორმა განაპირობა: 1. კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის, შტამპებისა და კლიშეებისაგან გათავისუფლებამ შესაძლებელი გახადა ახლო წარსულის ობიექტური, შეულამაზებელი აღქმა; 2. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა სხვადასხვა არქივებში დაცული საიდუმლო ფონდები, მკვლევართათვის მანამდე უცნობი მრავალი დოკუმენტი და ისტორიული მასალა, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გასაიდუმლოებული იყო, ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთ გამოცემული ქართველ ემიგრანტთა მემუარები, ემიგრანტ ისტორიკოსთა ნაშრომები და პერიოდული პრესა (ქართული ემიგრანტული პრესა საბჭოური პერიოდის პუბლიკაციებთან შედარებით, თავისუფალია იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან და ცენზურული ზეწოლისაგან), რამაც ქართველ მკვლევართა დღევანდელ თაობას შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა XX საუკუნის საქართველოს ისტორია, დაგვემსხვრია ისტორიულ მეცნიერებაში წლობით ჩამოყალიბებული და გაბატონებული ძველი სტერეოტიპები,

ძირეულად შეგვეცვალა ჩვენი წარმოდგენები ისტორიის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, ქართველი ხალხისათვის სრულად და მართლად წარმოგვედგინა თავისი ისტორიული წარსულის ხილული თუ უხილავი პერიპეტიები, მეობა, კულტურა და ტრადიციები; 3. დღეს, როდესაც ჭეშმარიტი ისტორიის შექმნას პოლიტიკური სისტემა ხელს აღარ უშლის, რადიკალურად შეიცვალა მსოფლმხედველობითი პრინციპი, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თუ კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ, კლასობრივ ფაქტორებს, ამასთან, ყველა ისტორიული მოვლენა და ფაქტი კომუნისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობით, ვიწროპარტიული პოზიციებიდან ფასდებოდა, ახლა უკვე დომინირებს ეროვნული იდეოლოგია და ქართულ ისტორიოგრაფიაში წამყვანი ადგილი დაიკავა ეროვნულმა და საერო საკაცობრიო პრინციპების უზენაესობამ, ოფიციალური იდეოლოგიის ზეგავლენისაგან თავდაღწეულმა კრიტერიუმებმა და ზნეობრივმა პრინციპებმა, რომლისთვისაც მთავარია არა საზოგადოების რომელიმე კლასი, არამედ ერი და საერთო-საკაცობრიო პროგრესი. ხდება ყველა ისტორიული მოვლენის და ფაქტის, საერთო-ეროვნული ინტერესების ფონზე მეცნიერული ობიექტურობით გაანალიზება, ადამიანისა და პიროვნების ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლის მიხედვით დაფასება...

1990-იან წლებამდე იკრძალებოდა (დაუშვილი, 2007 : 4) ემიგრაციის და (ე. ნ.) ემიგრანტების, როგორც სამშობლოს მოღალატეების, ხსენებაც კი. ის, რაც მათზე იბეჭდებოდა, ან საბჭოურ იდეოლოგიურ წნეხში იყო გატარებული, ან ტენდენციურად, არასწორად მოწოდებული (დაუშვილი, 2007 : 4). საკითხის ახლებური შეფასების მცდელობას, საფუძველი (დაუშვილი, 2007 : 5) პროფესორმა (ე. ნ.) გურამ შარაძემ ჩაუყარა (ლევილიდან, ჰარვარდიდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სამთავრობო და კერძო არქივების ჩამოტანა, ქართული ემიგრაციის მუზეუმის დაარსება, მრავალრიცხოვანი ნაშრომები და პუბლიკაციები) (დაუშვილი, 2007 : 5). ქართული ემიგრაციის პრობლემებზე მუშაობდნენ (დაუშვილი, 2007 : 5) და (ე. ნ.) მუშაობენ სხვადასხვა დარგის მკვლევარები, რომელთა ნაშრომები ამ თემებზე ჩვენს ცოდნას ავსებენ (დაუშვილი, 2007 : 5). მათგან აღსანიშნავია: ა. ასლანიშვილი, ა. ბაქრაძე, ლ. ბაქრაძე, გ. გაჩეჩილაძე, ვ. გურული (დაუშვილი, 2007 : 5), რ. დაუშვილი (ე. ნ.), ნ. კირთაძე, ნ. კუპრეიშვილი, გ. მამულია, ი. მეგრელაძე, თ. ნატროშვილი, პ. ნაცვლიშვილი, რ. ნიშნიანიძე, გ. ჟორდანია, ს. რეხვიაშვილი, მ. როდე-ჩიჯავაძე, გ. საითიძე, თ. სანიკიძე, მ. სვანიძე, მ. სიორიძე, ა. სურგულაძე, ი. ტაბაღუა, გ. ფერაძე, რ. ფერაძე, გ. შარაძე, რ. შარაძე, დ. შველიძე, ა. ცამციშვილი, გ. ცხოვრებაძე (დაუშვილი, 2007 : 5). კ. წენგუაშვილი (ე. ნ.), მ. ხომერიკი, ნ. ჯავახიშვილი, ო. ჯანელიძე და სხვები (დაუშვილი, 2007 : 5). არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი გამოიცა ქართული ემიგრაციის ისტორიის შესახებ, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მრავალი საკვანძო საკითხი (მაგ., ალექსანდრე დაუშვილი, კობა წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!“, თბ., 2005; რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007; შოთა ვადაჭკორია, ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1990), წიგნი I, თბ., 2018; ურუშაძე ლევან, ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991; წიგნი მეორე, თბ., 1991; წიგნი მესამე, თბ., 1993; გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996; ГЕОРГИЙ МАМУЛИА, БОРЬБА ЗА СВОБОДУ И НЕЗАВИСИМОСТЬ КАВКАЗА (1921-1945),Тбилиси - Париж, 2012; Мамулиа Георгий, Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы Второй мировой войны, Второе дополненное и переработанное иэдание, Тб., 2007 და სხვ.).

XX საუკუნის (ე. ნ.) „ბოლო ათწლეულში ითარგმნა და გამოიცა ემიგრანტთა თხზულებები, მოგონებები, მათ მიეძღვნათ ნაშრომები, რადიო თუ ტელეგადაცემები და, რაც მთავარია, გაიხსნა დახურული არქივები, სამუზეუმო ფონდები და შესაძლებელი გახდა პირველწყაროების მოძიება; მაგრამ ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ემიგრაციის ისტორიის შესწავლის მხოლოდ დასაწყისია. ალბათ, კიდევ ბევრი დრო და ენერგია დასჭირდება, სანამ ყოველივეს ნათელი მოეფინება, სანამ გახლეჩილი ისტორია გამთლიანდება - ერთი მხრივ, საქართველოს ემიგრანტული და მეორე მხრივ, ის ისტორია, რომელიც ჩვენს თვალწინ არსებობდა, თუმცა ისიც გახლეჩილი იყო. ოფიციალურის და გაყალბებულის მიღმა კი საქართველოს ნამდვილი ისტორიაა საძიებელი“ (დაუშვილი, 2007 : 5).

თანამედროვე პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული უშიშროების გარანტირება ლოგიკურად უკავშირდება ჩვენი ქვეყნის წარსული პოლიტიკური ისტორიის (მათ შორის ქართული ემიგრაციის ისტორიის) განზოგადებული შესწავლის აუცილებლობას. მართლაც, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ისტორიის წარმოჩენას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში. მითუმეტეს, როცა დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ბევრი მოვლენა და „დეტალი“ გარკვეულწილად ესადაგება წარსულს, ამიტომ საკვლევი თემა უფრო მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს.

საკვლევი თემის სწორად შეფასებისათვის პირველწყაროს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“) დაცული ქართული ემიგრანტული და საბჭოთა პერიოდული პრესის მასალები (**თ. გუდავას სიტყვა თეთრ სახლში**, **რედაქცია**, **ISSN : 0763 – 7247**, **„გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 ‘ PARIS**, **ივლისი 1988 JUILLET**, **GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 44; **თენგიზ გუდავა 17** მაისი 1988. თეთრი სახლი **თენგიზ გუდავა** ინგლისურიდან მთარგმნელი - **ზურაბ ნარსია**, **ISSN : 0763 – 7247**, **„გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 ‘ PARIS**, **ივლისი 1988 JUILLET**, **GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 45-46; **ოთარ ზურაბიშვილის სიტყვა**, **ISSN : 0763 – 7247**, **„გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 ‘ PARIS**, **ივლისი 1988 JUILLET**, **GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 17-18; **ოთარ პატარიძის სიტყვა**, **ISSN : 0763 – 7247**, **„გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 ‘ PARIS**, **ივლისი 1988 JUILLET**, **GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 15-16; **„ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული. 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“**, **უშანგი სიდამონიძე**, გაზეთი **„კომუნისტი“**, **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო**, газета **„КОМУНИСТИ“ – ОРГАН ЦК ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР,** რედაქტორი ნ. ფოფხაძე, №120 (20161), 25 მაისი, 1988 წ., გვ. 4; ს ა უ კ უ ნ ო ი ყ ო ს ხ ს ე ნ ე ბ ა მ ი ს ი ! . ., ჩვენი სულიერი მამა, პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარის დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალების გამო, I., კარლო ინასარიძე, ლევილი, 1988 წლის მარტი, **„მებრძოლი საქართველო“**, **ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო**, **„L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, 26 მაისი 1988 - Nr. 5 (23) - LE 26 MAI 1988, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, გვ. 92; საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავი, კარლო ინასარიძე, პარიზი, 1988 წლის 26 მაისი, **„მებრძოლი საქართველო“**, **ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო**, **„L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, 26 მაისი 1988 - Nr. 5 (23) - LE 26 MAI 1988,

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, გვ. 4-8; საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავი, მოწოდება, ქართული ეროვნული საბჭოსა საქართველოს ყოველ მოქალაქისადმი, ქართული ეროვნული საბჭო, პარიზი ლევილი, 1988 წლის 26 მაისი, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, 26 მაისი 1988 - Nr. 5 (23) - LE 26 MAI 1988, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, გვ. 3-4; **ქართული ეროვნული საბჭო, Conseil National Géorgien, Paris, le 26. 5. 1988**, CHATEAU DE LEUVILLE, 10, rue Jules Ferry, 91310 Leuville sur Orge, France - T. 60-84-61-51, მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი, ბატონ ხ. პერეს დე კუელიარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს (ნიუ-იორკი, აშშ), ქართული ეროვნული საბჭოსაგან (პარიზი-ლევილი, საფრანგეთი)., ქართული ეროვნული საბჭოს თავჯდომარე : კარლო ინასარიძე, ქართული ეროვნული საბჭოს მდივანი: მამია ბერიშვილი, პარიზი, ლევილი, 1988 წლის 26 მაისი, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, 26 მაისი 1988 - Nr. 5 (23) - LE 26 MAI 1988, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, გვ. 1; **ქართული ეროვნული საბჭო, Conseil National Géorgien, Paris, le 26. 5. 1988**, CHATEAU DE LEUVILLE, 10, rue Jules Ferry, 91310 Leuville sur Orge, France - T. 60-84-61-51, MEMORANDUM, Monsieur Javier PEREZ DE CUELLAR, Secrétaire Général de l'Organization des Nations Unies à NEW-YORK U. S. A., Le Président du Conseil National Georgien : Dr Karlo INASARIDZE, Le Secrétaire : Dr Mamia BERICHVILI, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, 26 მაისი 1988 - Nr. 5 (23) - LE 26 MAI 1988, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, გვ. 2; ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება, 26 მაისი ნიუ-იორკში, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, , „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, **აგვისტო 1988 - Nr. 6 (24) - AOÛT 1988,** გვ. 63; ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება, 26 მაისი სოშოში, სოშოს ქართული სათვისტომოს კომიტეტი, სოშო, 1988 წლის 28 მაისი, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, , „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, **აგვისტო 1988 - Nr. 6 (24) - AOÛT 1988,** გვ. 63; ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება, 26 მაისის დღესასწაული პარიზში, კ. ი., პარიზი, 1988 წლის ივნისი, **„მებრძოლი საქართველო“, ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო, „L A G É O R G I E C O M B A T T A N T E“**, , „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ილია, დაარსდა : იანვარი 1952, პარიზი - Fondation : Janvier 1952, Paris, **აგვისტო 1988 - Nr. 6 (24) - AOÛT 1988,** გვ. 62; **26 მაისის ზეიმი ნიუ-იორკში**, (რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან), **გივი კობი, ISSN : 0763 – 7247, „გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 ‘ PARIS, ივლისი 1988 JUILLET, GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 22-24; **70 წლისთავი პარიზში, ეთერი, ISSN : 0763 – 7247, „გუშაგი“**, ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში, **პარიზი №16 PARIS, ივლისი 1988 JUILLET, GOUCHAGVI** *PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENE* Directeur|:| GEORGES TSERETELI, გვ. 14-15; **26 მაისის ზეიმი.** უცხოეთში. ქალაქი სოშო. **26 მაისი**, ქალ. სოშოს ახალშენის კომიტეტი., **დიდება ქართველ ერს დიდება თავისუფლებას!** „ჩვენი დროშა“ დამაარსებელი. : ნოე ჟორდანია. **NOTRE DRAPEAU** FONDATEUR : NOE JORDANIA . **ორგანო საქ. სოც.-დემ. Organe du Bureau №114 აგვისტო** 1988 წელი. პარიზი. გვ. 133-135; **26 მაისის ზეიმი.** უცხოეთში. **26 მაისი** ნიუორკი - 5 ივლისი 1988 წელი., **დიდება ქართველ ერს დიდება თავისუფლებას!** „ჩვენი დროშა“

დამაარსებელი. : ნოე ჟორდანია. **NOTRE DRAPEAU** FONDATEUR : NOE JORDANIA . **ორგანო საქ. სოც.-დემ. Organe du Bureau №114 აგვისტო** 1988 წელი. პარიზი. გვ. 136-137; **26 მაისის ზეიმი.** უცხოეთში. **26 მაისი,** პარიზი - 1988 წელი. დამსწრე., **დიდება ქართველ ერს დიდება თავისუფლებას!** „ჩვენი დროშა“ დამაარსებელი. : ნოე ჟორდანია. **NOTRE DRAPEAU** FONDATEUR : NOE JORDANIA . **ორგანო საქ. სოც.-დემ. Organe du Bureau №114 აგვისტო** 1988 წელი. პარიზი. გვ. 129-132; **26 მაისი პარიზში,** ჯ. კ., **IVERIA** , EDITION PERIODIQUE GEORGIENNE, **32**, მაისი, 1988, პარიზი, **„ივერია“** , საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი, დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს, აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის მიერ 1949 წელს, **32**, მაისი, 1988, პარიზი, **DIRECTEUR O. PATARIDZE**, გვ. 89-90).

მეთოდები. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ თანამედროვე მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ- შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი.

შედეგები. 1988 წელს ქართულ ემიგრაციაში (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღნიშვნა იყო ქართული ემიგრაციის ერთიანობის ერთგვარი აქცია, საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოსადმი ევროპული და ამერიკული საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის და ქართული ემიგრაციის მხრიდან საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოში განახლებული და მიმდინარე ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერის მცდელობა.

მსჯელობა. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ათეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური წანამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა.

1918 წლის 26 მაისს საქართველო და ქართველი ხალხი განთავისუფლდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

მართლაც, 1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ნაოცნებარი - აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას...

1918 წლის 26 მაისს ბედნიერებით იყო „გაჟღენთილი“ მთელი საქართველო...

სწორედ 26 მაისს იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა თავისუფლად, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება; ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი სხვა ქვეყნის ნაწილად ყოფნაზე; თქვა უარი იმ ქვეყანაზე, რომელიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრისა და დიდი პატრიოტის, ვლასა მგელაძის თქმით, სამოყვროდ მოსული, არამცთუ არ დაგვეხმარა ტანჯული სამშობლოს აღორძინებაში, არამედ ქვეყანა ააოხრა, მდიდარი ტაძარ-მონასტრები გაძარცვა, ღირსეული მამულიშვილები დახოცა, ცოცხლები

ციხე-ციმბირში გამოალპო, მშობლიურ ენაზე განათლება და წირვა-ლოცვა აკრძალა, ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, ერის სუვერენობა მოსპო (მგელაძე, 1990 : 7).

26 მაისი არის იმ რესპუბლიკის დაარსების დღე, რომელიც დაფუძნებული იყო მოწინავე ჰუმანურ იდეებზე, ევროპულ ღირებულებებზე...

1918 წლის 26 მაისის დღესასწაული დიდი ზეიმით აღინიშნა დემოკრატიულ საქართველოში 1919 და 1920 წლებში...

1919-1920 წლებში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა ძვირფასი და გასაგები...

მართალია, მხოლოდ 3 წლის დამოუკიდებლობა მცირე დროა და ერთი გაელვებაა ქვეყნის ისტორიისათვის, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „1918 წლის მაისის 26 ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. 3 წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“ (გაზეთი „სოციალისტ - ფედერალისტი“, ოთხშაბათი, მაისი, 25, № 70, 1921 : 3). საქართველოს არსებობისა და გმირული ბრძოლის მატიანეში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა“ არა მარტო პოლიტიკური თვალთახედვით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანობის, სულიერი მხნეობა-შემართებისა და სიმტკიცის, მისი უკეთესი მერმისისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის კარგი პერსპექტივა...

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, მოსპო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მწარე ხვედრი გაიზიარა. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა მონობის მძიმე და სამარცხვინო უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარწუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს ბრძოლა დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და ქართულ ემიგრაციაში 1921 წლიდან...

როგორც ცნობილია, საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთისა და საქართველოს ოფიციალური საბჭოთა საოკუპაციო ბოლშევიკური ხელისუფლების მესვეურთა ოფიციალური განცხადებით, 1921 წლის თებერვალში საქართველოში მოხდა მშრომელთა „შეიარაღებული აჯანყება“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ „აჯანყებულთადმი“ „ძმური და მეგობრული დახმარებით“ 25 თებერვალს საქართველოში განხორციელდა „სოციალისტური გადატრიალება“ და „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება“, რის შედეგადაც დაემხო „კონტრრევოლუციონერ“ მენშევიკთა, მათი „კონტრრევოლუციური“ მთავრობის და მისი ევროპელი მოკავშირეების - გერმანიისა და ინგლისის 3 წლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა საქართველოში და საფუძველი ჩაეყარა საქართველოს „ნამდვილი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას“, „ამიტომ საქართველოსა და ქართველი ხალხის ნამდვილი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების, ბედნიერების, უკეთესი მერმისისა და ნათელი მომავლის დღე“ იყო არა 1918 წლის 26 მაისი, არამედ 1921 წლის 25 თებერვალი, როდესაც „ნამდვილად განთავისუფლდა საქართველო“; (პოლიტიკური მოსაზრებით,

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მოსკოვმა დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის სტატუსი შეუნარჩუნა. საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი რომ შენიღბულიყო, მოსკოვის ნების თანახმად, 1921 წლის 21 მაისს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელმოწერილ იქნა „სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“, რომლის პრეამბულაში დადასტურებული იყო საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტი და ხელშეკრულების დამდები მხარეების სრული თანასწორობა; ფაქტობრივად კი, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს კომუნისტური, საბჭოური წესით გამოცხადებული სუვერენიტეტი და არა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, იურიდიულად ცნო საბჭოთა იმპერიალისტურმა რუსეთმა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით).

1921 წლის 25 თებერვალი, ისე როგორც 1801 წლის 12 სექტემბერი, ყველაზე უდიდესი დამარცხების თარიღია ჩვენი სამშობლოს - საქართველოს ისტორიაში...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მესამე წლისთავის აღნიშვნამდე ზუსტად 3 თვე დააკლდა. 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციამ 70 წლით დაასამარა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, თუმცა, ბედის ირონიით, 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მაინც „საზეიმოდ“ აღინიშნა...

ბოლშევიკებმა ზუსტად იცოდნენ, რომ 1921 წლის 26 მაისს ქართველები გამოვიდოდნენ დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ამიტომ პროტესტისა და დაძაბულობის შესაკავებლად, თვითონ ჩაატარეს 26 მაისობა, რომელიც თავისებურად გადააკეთეს ერის თავისუფლების დღედ.

26 მაისის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა 1922 წლიდან... ბოლშევიკებს არც კი უფიქრიათ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა 1922 წლის 26 მაისს: თუ 1 წლით ადრე საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყო 26 მაისი, უკვე 1922 წელს გამოცხადდა, რომ 26 მაისი არ არის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის დღე და 25 თებერვალი უნდა აღინიშნოს, როგორც დამოუკიდებლობის დღე. 26 მაისის ღონისძიებები კი ოფიციალურად აიკრძალა (ერთი წლით ადრე კი, 1921 წლის 26 მაისს, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საბჭოთა სტილისტიკით აღნიშნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი და დაგეგმილი „საზეიმო“ ღონისძიებები)...

ასე გამოცხადდა რუსეთის წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების დღე დამოუკიდებლობის თარიღად...

სასტიკი საბჭოთა იმპერიალისტური რეჟიმი მართლაც სასტიკი მეთოდებით ცდილობდა საქართველოში მყარად დამკვიდრებას. ქართველი ხალხის მცდელობას, არ დაევიწყებინა უახლესი წარსული, უზარმაზარი რესურსებითა და სასტიკი იმპერიული მეთოდებით დაუპირისპირდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი...

ბოლშევიკებმა ძალა არ დაიშურეს საიმისოდ, რომ ქართველი ხალხის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად 1918 წლის 26 მაისის კვალიც წაეშალათ, თითქოს ამით, ერის ცნობიერებიდან დაკარგული თავისუფლების წაშლასაც მოახერხებდნენ. საქართველოში, ქართველ ხალხში თავისუფლებისმოყვარე სული კი არასოდეს ჩამკვდარა...

1918 წლის 26 მაისმა განსაზღვრა ქართველი ერის ბედი როგორც XX, ისე XXI საუკუნეში. მართალია, საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს საქართველო ისევ დაიპყრო, მაგრამ დამპყრობელი უძლური აღმოჩნდა ქართველი ერის მეხსიერებიდან ამოეშალა თავისუფლების არასრული სამი წელი დიდი გამარჯვებებითა და მწარე მარცხით...

გასაგები მიზეზების გამო, საქართველოსგან განსხვავებით, ქართულ ემიგრაციაში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. ემიგრაციაში განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდნენ მის სათანადოდ და

ღირსეულად აღნიშვნას. ის, ევროპასა და ამერიკაში, უცხოელთა შორისაც დიდი პოპულარობით და ყურადღებით სარგებლობდა...

1922 წლიდან მოყოლებული, 26 მაისს ერთსულოვნად ზეიმობდა მთელ მსოფლიოში გაფანტული ყველა მიმართულებისა და პარტიული კუთვნილების ქართველი. ზეიმებს ხშირად ესწრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, განსაკუთრებით, კავკასიელები, რომელთა დაახლოებასა და ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამოყალიბებაში დიდი როლი „კავკასიის კონფედერაციამ“ შეასრულა (დაუშვილი, 2007 : 187-188).

ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი რიცხვი საფრანგეთში იყო თავმოყრილი და ყველაზე დიდი კოლონია იყო - პარიზის კოლონია, ამიტომ ყველაზე ხალხმრავალი ზეიმები სწორედ პარიზში ეწყობოდა. 1933 წლამდე, საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმებამდე, სრულუფლებიანი ელჩი აკაკი ჩხენკელი პარიზში, ვიქტორ ჰიუგოს ქუჩაზე, №44-ში მიღებას აწყობდა, საღამოს კი ქართული კოლონიის წევრები საზოგადოების კრებას იწვევდნენ (დაუშვილი, 2007 : 188). („ქართული ასოციაცია საფრანგეთში“ („Association Georgienne en France“, ფრანგ. „ასოსიასიონ ჟეორჟიენ ან ფღანს“) დაარსდა 1922 წელს, გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოდან ემიგრირებული ქართველი პოლიტიკური დევნილების მიერ და მას თავდაპირველად ეწოდა „საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო“) (https://gda.ge > pages > safrangetis-respublika).

1932 წელს ქართველი ემიგრანტების - დიმიტრი ალავიძის, სიკო ერისთავის, ვანო კობახიძის, პავლე კვარაცხელიას, გიორგი მაჩაბლისა და ირაკლი ორბელიანის მიერ დაარსდა „ამერიკის ქართული სათვისტომო“ (იგივე „საქართველოს ასოციაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში“, ინგლ. „Georgian Association in the USA“) (https://dspace.nplg.gov.ge > handle)...

1945 წელს დაარსდა გერმანიის ქართული სათვისტომო ქალაქ მიუნხენში (https://findgeorgia.net > listing > georgischer-veren-in-...)...

II მსოფლიო ომმა და ხანგრძლივმა პოლიტიკურმა იმედგაცრუებამ, ევროპაში მყოფ ძველ ქართულ ემიგრანტულ ბანაკს საგრძნობი ზიანი მიაყენა. შემცირდა მისი ძალები, მისი ერთი ნაწილი შორეულ ქვეყნებში გაიფანტა (არგენტინა, ჩილე, აშშ)...

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ქართულ ემიგრაციას შეემატა ახალი ტალღა, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ემიგრაციაში (ევროპა) დარჩენილი ქართველების სახით, რომელთა ნაწილი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. მათ „ახალ ემიგრანტებს“ უწოდებდნენ...

II მსოფლიო ომის შემდეგ, დანგრეული ევროპიდან დიდ ტალღად მოაწყდნენ ამერიკას ლტოლვილები, რომელთა შორისაც, ემიგრანტებთან ერთად, მრავლად იყვნენ ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“, ომში ტყვედ ჩავარდნილი თუ თავიანთი სურვილით გერმანელთა მხარეზე გადასულნი. როგორც ცნობილია, 40.000 ტყვედ ჩავარდნილი ქართველიდან ბევრი ევროპაში დარჩა და საქართველოს პირველი (ნაცვლიშვილი, 2009: 43) (1921 წ., - ე. ნ.) და მეორე (1924 წ.) (ე. ნ.) ტალღის ემიგრაციას შეუერთდა.

XX საუკუნის (ე. ნ.) 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იან წლებში კი, გერმანელებთან თანამშრომლობისათვის რეპატრიაციის შიშით (ნაცვლიშვილი, 2009 : 43), ქართველი ემიგრანტების (ე. ნ.) ერთი ნაწილი (ნაცვლიშვილი, 2009 : 43) ევროპიდან (ე. ნ.) ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა. ბევრმა ლათინურ ამერიკას მიაშურა და საფუძველი ჩაუყარა სათვისტომოებს არგენტინაში (ქართველთა უმეტესობა ბუენოს-აირესის გარეუბან ლომას-დე-სამორაში დასახლდა), ბრაზილიაში, ჩილეში, პერუში, ვენესუელასა და სხვა ქვეყნებში... (ნაცვლიშვილი, 2009 : 43).

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ასე გაჩნდა ქართული დიასპორა შორეულ არგენტინაშიც...

ქართული სათვისტომოების გამგეობები, ქართველი ერის ბრძოლისა და გამარჯვების დღესასწაულს - 26 მაისს ყოველწლიურად ახალ-ახალი ენერგიით აწყობდნენ და ატარებდნენ, რაც 26 მაისის იდეალების განხორციელებას ემსახურებოდა...

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, საბჭოთა იმპერიის არსებობის 70 წლის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, დარჩა ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად და თავისი ერის, საკაცობრიო იდეალების მსახურად...

XX საუკუნის (ე. ნ.) 80-იანი წლების დამდეგისათვის საბჭოური საზოგადოებრიობის უმრავლესობა გრძნობდა, რომ ქვეყანა დეგრადაციის გზაზე იდგა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა, მაგრამ დიქტატურის ვითარებაში მის საჯაროდ თქმას ვერავინ გაბედავდა. მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ გამოიჩენდა გაბედულებას და ხალხს მოუწოდებდა ძირმომპალი რეჟიმის დამხობისაკენ (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 308). კრიზისი მოედო ზედა ფენებს. ქვეყნის მესაჭის პოსტზე ხშირმა ცვლილებებმა იგი ვერ შეანელა, ჩანდა, რომ კომუნისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ძალა, ამოიწურა და მას საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველის როლი ხელიდან ეცლებოდა.

1985 წლის აპრილიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისი ახალი გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 309), რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად 1985 წლის მარტში აირჩიეს (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 209), თვითვე აიღო კურსი გარდაქმნისაკენ, მისი ძირითადი მიზანი იყო კრიზისის დაძლევა და სოციალიზმის გადარჩენა დაღუპვისაგან. „გარდაქმნის“ ინიციატორთა კონცეფციით, სოციალიზმი იყო და „რჩება“ საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო არჩევანი, მაგრამ ლენინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით სტალინის ხელმძღვანელობის პერიოდში თითქოს მოხდა მისი დეფორმაცია. კომუნისტურ პარტიას ეკისრებოდა დემოკრატიზმისა და საჯაროობის გზით აღდგენა მმართველობის ლენინური პრინციპებისა და ჭეშმარიტ სოციალისტურ ღირებულებათა დამკვიდრება. სისტემა, მისი მახინჯი არსი ხელუხლებელი დარჩა.

„დემოკრატიზმისა“ და „საჯაროობის“ ახალ ვითარებაში საბჭოთა საზოგადოებრიობას შესაძლებლობა მიეცა ღრმად ჩაეხედა წარსულსა და აწმყოში, გაეანალიზებინა გამოვლილი გზის ავ-კარგი. მოვლენათა ობიექტური შეფასების ლოგიკამ თანდათან განამტკიცა აზრი, რომ რუსული, ე. წ. „ყაზარმული სოციალიზმი“ იმთავითვე შეუფერებელი და თავსმოხვეული იყო ხალხისათვის, ხოლო ყველა ის მანკიერებანი, რამაც შემდეგ საზოგადოებრივი დაცემულობა და კრიზისი შეაპირობა, თავიდანვე წარმოადგენდა სისტემის თანდაყოლილ სენს, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით ვლინდებოდა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1985 წელს აღებულ კურსს, - ე. წ. „პერესტროიკას“ გამოუჩნდნენ ძლიერი ოპოზიციური ძალები როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. მემარჯვენე ძალები იყვნენ ის კონსერვატორები, რომლებიც მისტიროდნენ წარსულში კომპარტიის ყოვლისშემძლეობას და სოციალიზმის პრესტიჟის გადარჩენის სახელით მოითხოვდნენ ძველისკენ დაბრუნებას; მემარცხენე ძალები კი კომუნისტურ პარტიას საერთოდ, და მის ახალ ხელმძღვანელობასაც თვლიდნენ უნარმოკლებულად საქვეყნო საქმეების მართვაში და წინა პლანზე ე. წ. „სოციალისტური სისტემის“ სრული დემონტაჟის ამოცანას აყენებდნენ. მართლაც, ე. წ. „პერესტროიკას“ წარმატება ეწერა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სისტემის სრული ნგრევა და დემოკრატიული სახელმწიფოს ახალ სამართლებრივ საფუძველზე აშენება დაიწყებოდა (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 309).

„პერესტროიკის“ პირველივე წლიდანვე პოლიტიკური ძალაუფლების მწვავე პრობლემის პარალელურად წინაპლანზე დადგა ეროვნული პრობლემები. უნიტარული სისტემისაგან ათეული წლობით სულშეხუთულ საზოგადოებრიობაში თავი იჩინა

ანტიიმპერიულმა განწყობილებამ. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ყველა რესპუბლიკაში ამოძრავდნენ ეროვნული თვითგამორკვევის ძალები. გახშირდა ეთნიკური კონფლიქტები. საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფების მკვეთრი დაპირისპირება სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ საკითხებში და გამწვავებული ეროვნული პრობლემები ქმნიდნენ სამოქალაქო ომის საშიშროებას. „პერესტროიკის“ პირველ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას არსებითი ცვლილებები არ შეხებია. პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ისევ ძველებური მეთოდით აგრძელებდნენ მუშაობას და „ავანგარდული როლი“ რომ გაემართლებინათ, მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობით ხვდებოდნენ დემოკრატიზმისა და საჯაროობის ახალ-ახალ ღონისძიებებს.

ქართული საზოგადოებრიობა, აზრის შებოჭილობის მიუხედავად, ბურუსიდან თანდათანობით გამოდიოდა. გარდაქმნისათვის ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა ახალგაზრდობა (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 310). ეროვნული მოძრაობის უმთავრეს ძალას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა წარმოადგენდა (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 218). ახლებურად მოაზროვნე საზოგადოებასა და ძველი ყაიდის ხელმძღვანელობას შორის პირველმა დაპირისპირებამ თავი იჩინა ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. სტუდენტობა და შემოქმედებითი ინტელიგენცია წინ აღუდგა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობას. მანვე დაჟინებით მოითხოვა რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა, პირველ რიგში, დავით გარეჯის უნიკალური კომპლექსის გადარჩენა, რაც შესაძლებელი იყო იმ რაიონიდან სამხედრო პოლიგონის გადატანით (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 310).

ეროვნულმა მოძრაობამ შედარებით მასშტაბური გამოსვლების ხასიათი 1988 წლიდან მიიღო. 1988 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვეს (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 218).

1988 წლის დამდეგიდან ქართველი ახალგაზრდობის ბრძოლა საზოგადოებრივი და პოლიტიკური რუტინის წინააღმდეგ შორს გასცდა ეკოლოგიურ ჩარჩოებს. მასში თანდათან მომწიფდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 310). თბილისის გარდა (ე. ნ.), ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 218).

საქართველოს იმდროინდელმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომლის სააზროვნო სტერეოტიპები ისევ უნიტარიზმის დოგმატებს ეფუძნებოდა, ვერ გამონახა ვერავითარი საერთო ენა ყოველდღიურად მზარდ ეროვნულ მოძრაობასთან. პარტიულ ბიუროკრატიასა და საზოგადოებრიობას შორის აღიმართა „გაუცხოების ყრუ კედელი“. ბიუროკრატია დაემსგავსა შეუღწევად ბასტიონს. ამიტომ ინტელიგენცია, უპირატესად ახალგაზრდობა წავიდა თავისი გზით, შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა სულისშემხუთველ დიქტატურას (სურგულაძე ა., სურგულაძე პ., 1991 : 311)...

საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, „საჯაროობის“ კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებსაც იმხანად არაფორმალებს, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 217). მაინც, პოლიტიკური პარტიის შექმნასთან ყველაზე ახლოს და ყველაზე პირველად „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ აღმოჩნდა. ეს უკვე მაშინ მოხდა, როდესაც ქვეყანაში შეიქმნა რეალური პირობები პარტიების ორგანიზებისთვის, 1987-1988 წლებში. ამ პროცესს

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ხელი ვეღარ შეუშალა (შველიძე, 2022 : 304). ერთ-ერთი პირველი არაფორმალური გაერთიანების „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დამფუძნებელი კრება 1987 წლის დეკემბერში ჩატარდა თბილისში (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 217). („ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ შეიქმნა თბილისში, 1987 წლის 11 დეკემბერს) (შველიძე, 2022 : 304). საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკა (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 217). (1988-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას, რაც ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის თანამდევ პროცესს წარმოადგენდა (ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ადრე იყო დაარსებული და ახლა შეექმნა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა)) (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, 2003 : 217-218).

იმ დროისაგან განსხვავევით, როცა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმი მძლავრობდა და ისტორიულ წარსულზე მრავალვარიანტული შეხედულება იკრძალებოდა, იმ თვისებრივი ცვლილებების პერიოდში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, როცა ახალმა „პოლიტიკურმა სიომ“ დაბერა, დაიწყო „გარდაქმნის“ და „დემოკრატიზაციის“ პროცესი, ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ რეჟიმს წყალი შეუდგა და წარსულზე სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდა, რითაც გამოჩნდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა, უშანგი სიდამონიძემ გაზეთ „კომუნისტი“-ს 1988 წლის 25 მაისის ნომერში დაბეჭდა ვრცელი სტატია, სახელწოდებით - **„ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული. 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“**, რომელშიც მოცემული იყო 1918 წლის 26 მაისის, როგორც დღის და თარიღის დიდი მნიშვნელობა, საქართველოს მრავალსაუკუნოვან (განსაკუთრებით, უახლესი პერიოდის) ისტორიაში: **„ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს 1918 წლის 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის დღე. ისტორიისათვის უცხო არ არის, როდესაც ერის ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა გარკვეული პერიოდის მანძილზე სხვადასხვა მიზეზითა და, უფრო ხშირად კი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მივიწყებულია; მისი აღნიშვნა, მოგონება აკრძალულია. ცხოვრების პროგრესი, წინსვლა, საზოგადოების დემოკრატიზაცია ბოლოს ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სიმართლე იმარჯვებს. ასეთ წინსვლასა და პროგრესს განიცდის დღეს ჩვენი საზოგადოება. მიმდინარეობს გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესები. მხოლოდ ამის შედეგად ხდება შესაძლებელი აღვნიშნოთ ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიცაა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე“...** (გაზეთი „კომუნისტი“, №120 (20161), 25 მაისი, 1988 : 4).

1988 წლის 26 მაისს თბილისში გაიმართა პირველი საოცდაექვსმაისო მსვლელობა 1920 წლის შემდეგ. ხალხში ამ დღის აღნიშვნის ძალიან დიდი სურვილი იყო. ხალხი შეიკრიბა ქაშვეთთან, საიდანაც გაემართნენ სიონისკენ. მილიცია იყო მობილიზებული და ისინი უშლიდნენ ხელს მსვლელობას, თუმცა ხალხმა გზად მაინც გაშალა პლაკატები წარწერებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“, „26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეა!“ და ა. შ. საპატრიარქოს გვერდით იყო კლუბი „ბერიკონი“. ხელისუფლებას იმდენად არ უნდოდა, ეს აქცია ქუჩაში გამართულიყო, რომ ხალხს უფლება მისცეს კლუბში შესულიყვნენ და იქ გაემართათ შეკრება, თუმცა მათ შენობაშიც შემოჰყვნენ მოწინააღმდეგენი - კომკავშირელები და პარტიული მუშაკები, რომლებიც დარბაზშიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ შეკრებისათვის, გამომსვლელებისათვის (https://www.radiotavisufleba.ge > ყველა-26 მაისი)... საქართველოში განახლებული და მიმდინარე ეროვნული მოძრაობის ფონზე აღინიშნა

ქართულ ემიგრაციაში (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავი - 1988 წლის 26 მაისი...

1988 წლის 4 მაისს, „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ“ (პარიზი-ლევილი, საფრანგეთი), „ქართული ეროვნული საბჭოს“ (დაარსდა პარიზში, 1951 წ. 21 ოქტომბერს, - ე. ნ.) თავმჯდომარის, კარლო ინასარიძის (Le Président du Conseil National Georgien : Dr Karlo INASARIDZE) და „ქართული ეროვნული საბჭოს“ მდივნის, მამია ბერიშვილის (Le Secrétaire : Dr Mamia BERICHVILI) ხელმოწერით, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ გენერალურ მდივანს (ნიუ-იორკი, აშშ), ხავიერ პერეს დე კუელიარს (პერუელი ხავიერ პერეს დე კუელიარი „გაერო“-ს გენერალური მდივანი იყო 1982 წლის 1 იანვრიდან 1991 წლის 31 დეკემბრამდე) (https://ka.wikipedia.org > wiki > გაეროს_გენერალურ...), გაუგზავნა ფრანგულ ენაზე შედგენილი მემორანდუმი („MEMORANDUM, Monsieur Javier PEREZ DE CUELLAR, Secrétaire Général de l'Organization des Nations Unies à NEW-YORK U. S. A.“). ამ მემორანდუმით („მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი, ბატონ ხ. პერეს დე კუელიარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს (ნიუ-იორკი, აშშ), ქართული ეროვნული საბჭოსაგან (პარიზი-ლევილი, საფრანგეთი)“) „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ“, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ ქარტიის იმ დებულების შესაბამისად, რომელიც აღიარებდა დიდი და პატარა ერების თანასწორობას, მიმართა „გაერო“-ს გენერალურ მდივანს თხოვნით, რომ მას დღის წესრიგში დაეყენებინა დაპყრობილი ერების და ამით საქართველოს საკითხი, რომ საბჭოთა რუსეთს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ მეთვალყურეობის ქვეშ, საქართველოდან გაეყვანა საბჭოთა საოკუპაციო ჯარები, რათა ისევ აღდგენილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში. მემორანდუმში, კერძოდ, ნათქვამია:

Il y a 70 ans, le 26 Mai 1918, la GEORGIE, après 117 ans d'occupation russe a retrouvè son indépendance et sa souveraineté.

Le 7 Mai 1920 le gouvernement de la RUSSIE soviétique présidé par LENINE a reconnu de jure, l'indépendance de la GEORGIE et signé avec elle un pacte de paix et d'amitié.

Plus de 20 états du Monde ont reconnu l'indépendance de la GEORGIE dont : la FRANCE, la GRANDE-BRETAGNE, l'ITALIE, le JAPON, la BELGIQUE etc .. cités par Monsieur A. BRIAND Président du conseil suprême dans sa note du 27 Janvier 1921.

Après son indépendance, la GEORGIE a établi un gouvernement démocratique et elle est devenue la base de la paix et de la stabilité dans le Caucase.

Malgré les engagements de 1920 la RUSSIE soviétique, sans déclaration aucune a envahi la GEORGIE en Février gouvernement Géorgien presidé par Noé JORDANIA obligé d'émigrer a trouvé asile en FRANCE.

Depuis, le peuple Géorgien s'est soulevé plusieurs fois contre l'envahisseur : La plus impertante insurrection, noyée dans le sang, s'est déroulée au mois d'Août 1924.

Les démonstrations dont celle du 9 Mars 1956 ou celle du 14 Avril 1978 prouvent que les Géorgiens n'abandonnent pas l'ideé de reconquérir leur indépendance.

Dans toute l'Union soviétique il y a actuellement des soulévements analogues qui nous montrent que le temps de l'impérialisme est dépassé.

Il est à remarquer que la libération des Pais occupés par la RUSSIE soviétique serait bénéfique, même pour le peuple Russe qui est obligé de contribuer à cette emprise monstre et à cette force militaire démesurée.

Nous commémorons le 70 éme anniversaire de l'indépendance Géorgienne et à cet effet, le Conseil National Géorgien vous demande, Monsieur le Secrétaire Général des Nations Unies :

Que la charte des Nations Unies reconnaissent les droits imprescriptibles le liberté et égalité pour tous les Pays, PETITS ou GRANDS, du Monde entier. Il vous prie de faire entendre aux Nations Unies, la voix de tous les Pays qui réclament leur liberté nationale, dont la GEORGIE.

Sur observation des Nations Unies, la RUSSIE soviétique doit quitter le territoire Géorgien et laisser au peuple les moyens de restaurer l'indépendance Géorgienne qui a existé entre 1918 et 1921.
Dans cet espoir, nous vous prions, Monsieur le Secrétaire Général de l'Organization Nations Unies, d'accepter nos salutations les plus plus respectueuses (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო", პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, ე. : 2).

მემორანდუმის ქართული თარგმანი ასეთია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„დიდათ პატივცემულო ბატონო ხ. პერეს დე კუელიარ!

სამოცდა - ათი წლის წინათ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ - 117 წლის რუსეთის ბატონობის შემდეგ - აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რაც - 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ- საქართველოს საზავო ხელშეკრულებით - დე იურე იცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ლენინის თავჯდომარეობით. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ. მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 27 იანვრის ნოტაში ნათქვამია : „საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია, გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობას".

ამგვარად, საქართველო შეუდგა უფლებრივი, დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას, რის შედეგად საქართველო გახდა მშვიდობიანობისა და სტაბილურობის მყარი ბაზა კავკასიაში. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - დაარღვია რა 1920 წლის საზავო ხელშეკრულება - თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი, რის შედეგად საქართველოს მთავრობა, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო და თავი საფრანგეთს (პარიზი) შეაფარა.

საქართველოს ხალხი მრავალჯერ აჯანყდა უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელთაგან ყველაზე უფრო მასობრივი აჯანყება მოხდა 1924 წლის აგვისტოში, რომელიც სისხლში ჩაახჩო მოსკოვმა. 1956 წლის 9 მარტისა თუ 1978 წლის 14 აპრილს მასობრივმა დემონსტრაციებმა კი ნათელი გახადეს, რომ ქართველი ერის მისწრაფება თავისუფლებისაკენ უდრეკია. ანალოგიური გამოსვლები საბჭოთა იმპერიაში - ბალტიისპირეთის, თურქესტანის თუ კავკასიის ქვეყნებში - ნათელჰყოფენ, რომ იმპერიების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა, და საბჭოთა იმპერიაში ძალით მოქცეული ქვეყნებიც უნდა ეღირსონ თავისუფლებას, რაც თვით რუსეთის ინტერესებშიც შედის, ვინაიდან რუსი ერი განთავისუფლდება ამ უზარმაზარი შეგოჯიჯებული იმპერიის შენარჩუნების ფიზიკური და მატერიალური ტვირთისაგან.

ამიტომ - ავღნიშნავთ რა საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავს - ქართული ეროვნული საბჭო მოგმართავთ თქვენ, ბატონო ხ. პერეს დე კუელიარ, - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის იმ დებულების შესაბამისად, რომელიც აღიარებს „თანასწორობას ... დიდი და პატარა ერებისა" - დღის წესრიგში დააყენოთ დაპყრობილი ერების და ამით საქართველოს საკითხი, რომ საბჭოთა რუსეთმა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ - საქართველოდან გაიყვანოს საბჭოთა საოკუპაციო ჯარები, რომ ისევ აღდგეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენობა, როგორც ეს იყო 1918 - 1921 წლებში (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო", პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, დ. : 1).

1988 წლის 26 მაისს, „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ", გამოსცა მოწოდება საქართველოს ყველა მოქალაქისადმი, სახელწოდებით - **„საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავი, მოწოდება, ქართული ეროვნული საბჭოსა საქართველოს ყოველ მოქალაქისადმი"**. „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ" მოუწოდა

საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა ქართველს, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად, აღენიშნათ 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენის 70-ე წლისთავი არა მარტო შესაფერისი სიფაქიზით და ეროვნული შთაგონებით, არამედ ყოველი ლეგალური გზით ემოქმედათ 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისათვის საქართველოში, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918 - 1921 წლებში - ქართველი ხალხის, ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობა იდგა 26 მაისის დიადი იდეების პოზიციაზე და მათი დაჯერებით, ეხლაც იდგა ამ ეროვნულ პოზიციაზე, რადგან არ არსებობდა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა (თუ ისინი ალტერნატივად არ მიიჩნევდნენ საქართველოსა და ქართველ ერზე უცხო იმპერიული სახელმწიფოს ბატონობას, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა საბჭოთა საქართველოში). ეს „ჯიუტი ფაქტი“ კი მოუწოდებდა მათ, რომ მათი ძალები გამოეყენებინათ არა ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც მათდა საუბედუროდ, ადგილი ჰქონდა მაშინაც, განსაკუთრებით, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, არამედ თავი აერიდებინათ მათი ეროვნული ძალების დაქსაქსვისათვის და ერთიანი, გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ 26 მაისის დიადი იდეების ისევ განხორციელებისათვის. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„ავღნიშნავთ რა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის სამოცდა-მეათე წლისთავს, 1988 წლის 26 მაისს, ქართული ეროვნული საბჭო მოგიწოდებთ თქვენ, საქართველოს ყოველ მოქალაქეს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ და მოღვაწეობდეთ თქვენ, - ავღნიშნოთ 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის სამოცდა-მეათე წლისთავი, არა მარტო შესაფერისი სიფაქიზითა და ეროვნული შთაგონებით, არამედ ყოველი საშუალებით ებრძოლოთ (იბრძოლოთ, - ე. ნ.) 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისათვის საქართველოში.

ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხი, ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობა იდგა და დგას 26 მაისის ეროვნულ პოზიციაზე, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა არ არსებობს, თუ ჩვენ ალტერნატივათ არ მივიჩნევთ საქართველოსა და ქართველ ერზე უცხო იმპერიული სახელმწიფოს ბატონობას, რასაც დღეს აქვს ადგილი საბჭოთა საქართველოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არ არსებობს „კარგი“ დამპყრობელი; ყოველი დამპყრობელი - როგორი ჯერისაც არ უნდა იყოს იგი - ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა და ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მტერია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ეროვნული მეობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა და შენარჩუნება, ამით ჩვენ ვდგებით ჩვენი ერის პირისაგან მიწისა გაქრობის გზაზე, ვინაიდან ყოველი იმპერიული სახელმწიფო ცდილობს დაპყრობილი ქვეყნისა და ერის მის იმპერიულ სახელმწიფო სხეულში გათქვეფას, რისი უამრავი მაგალითები მოიპოვება საბჭოთა საქართველოში. მოსკოვის „ჩვენს დედა-ქალაქათ“ გამოცხადება, რუსული ენის „მეორე მშობლიურ ენად“ აღიარება, ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ცხოვრების რუსული წესრიგით აგების ცდები, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გაქრობა საერთაშორისო არენაზე, ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო ვალდებულებების მოხდა „საბჭოთა“, ე. ი. რუსულ არმიაში, სადაც გაბატონებულია რუსული წესრიგი, თუ რუსული ენის ჩვენს სკოლებში პირველ კლასიდან სწავლება - სხვა რა უნდა იყოს, თუ არა რუსი დიდმპყრობელი- შოვინისტების ცდა მოახდინოს ჩვენი, ქართველი ერის ასიმილაცია, და საქართველო დარჩეს არა როგორ (როგორც, - ე. ნ.) ეთნოგრაფიული, არამედ მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ცნება.

ამგვარ რთულ პირობებში - მიუხედავათ მიხეილ გორბაჩოვის „საჯაროობის“, „დემოკრატიზაციის“ თუ „გარდაქმნის“ ლოზუნგებისა - არავითარი ცვლილებების ნიშანწყალი არ მოსჩანს მოსკოვის იმპერიაში მოქცეული ერებისა და ხალხების ეროვნული უფლებების გაფართოების სფეროში. პირიქით, თვით მიხეილ გორბაჩოვმა ლაკონურად, - ჩვენ ვამბობთ სარკასტულად - განაცხადა მოსკოვში ოქტომბრის გადატრიალების სამოცდა-მეათე წლისთავზე, რომ „... ეროვნული საკითხი ჩვენში გადაჭრილიაო“, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის გარდაუვალი ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა; უგულებელყოფა, თუ გნებავთ, გაერთიანებული (გაერთიანებული, - ე. ნ.) ერების ორგანიზაციის ქარტიის იმ არსებითი დებულებისაც, რომლის თანახმად აღიარებულია „თანასწორობა ... დიდი და პატარა ხალხებისა“.

ქართველი ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობა იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-1921 წლებში - 26 მაისის დიადი იდეების პოზიციაზე, და გვჯერა, ამ ეროვნულ პოზიციაზე დგას დღესაც, რაც გულისხმობს იმას, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო უნდა იყოს ბაზა კავკასიის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების - აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიულეთის (ჩრდილოეთი კავკასია) - კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს ა, რომლის დროს ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების - თურქეთის, სპარსეთისა და რუსეთის - დარწმუნება იმაში, რომ კავკასიის კონფედერაციული დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გახდება ის ფაქტორი მსოფლიოს ამ რეგიონში, რომელსაც შეეძლება მშვიდობიანობისა და მეგობრობის უზრუნველყოფა ყველა აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ადვილი საქმე არ არის, ვინაიდან - მიუხედავათ ატომური ეპოქისა - არც რუსეთი, არც თურქეთი და არც სპარსეთი უარს არ ამბობენ თავიანთ იმპერიულ პოლიტიკაზე, თუმცა ამგვარი ვაი-პოლიტიკა ისტორიას ჩაბარდა. ამდენად, ჩვენ ჩვენი მოქმედება უნდა დავაკავშიროთ არა მარტო დაპყრობილი ერების მოქმედებასთან, არამედ აღნიშნული და სხვა დიდი სახელმწიფოების დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ძალებთან, რომლებიც ურეზერვოთ ცნობენ ყოველი ერის უფლებას შექმნას თავისი საკუთარი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და თავისი სახით შევიდეს მსოფლიოს ერთა საერთო ოჯახში.

მოქმედებსა რა ამ მიმართულებით, ქართული ეროვნული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, ყოველ ქართველს - ყოველი ლეგალური გზით იმოქმედოს „26 მაისის“ დიადი იდეების ისევ- განხორციელებისათვის საქართველოში. ვიმეორებთ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა არ არსებობს, და ეს „ჯიუტი ფაქტი“ მოგვიწოდებს ჩვენ, რომ ჩვენი ძალები გამოვიყენოთ არა ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც, ჩვენდა საუბედუროდ, ადგილი აქვს დღესაც, განსაკუთრებით პოლიტიკურ ლტოლვილობაში, - არამედ თავი ავარიდოთ ჩვენი ეროვნული ძალების დაქსაქსვას და ერთიანი, გაერთიანებული ძალებით ვიბრძოლოთ „26 მაისის“ დიადი იდეების ისევ-განხორციელებისათვის!.. ძალა ერთობაშია!..

მაშ, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის სამოცდა-მეათე წლისთავზე ისევ შევძახოთ ერთად: დიდება დამოუკიდებელ საქართველოს! დიდება ქართველ ერს! დიდება ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს 26 მაისს!.." (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, გ. : 3-4).

1988 წლის 26 მაისს, „ქართული ეროვნული საბჭოს“ თავმჯდომარემ, კარლო ინასარიძემ დაბეჭდა სტატია, სახელწოდებით - „საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავი“, რომელშიც განიხილა და კრიტიკულად შეაფასა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში ჩვენი ერის ცხოვრება, ის ცხოვრება, რომელმაც შვა ჩვენი ეროვნული

დღესასწაული - 1918 წლის 26 მაისი, შეაფასა 1918 წლის 26 მაისი, როგორც „გარდატეხის“ თარიღი საქართველოს ისტორიაში, როცა დამყარდა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა საქართველოს ყოველი მოქალაქის სუვერენულ უფლებებს, 1918 წლის 26 მაისი, როცა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო ორგანიზმის სუვერენი გახდა ქართველი ხალხი, ქართველი ერი და სცადა დაემტკიცებინა ის, რომ 26 მაისის დიადი იდეების, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა არ არსებობდა, თუ - „ძლიერი მფარველის“ მძებნელთა მსგავსად - მონობას, ე. ი. უცხო ძალის ბატონობას საქართველოში ალტერნატივად არ მიიჩნევდნენ. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„26 მაისის დიადი იდეების, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივა არ არსებობს, თუ - „ძლიერი მფარველის“ მძებნელთა მსგავსად - მონობას, ე. ი. უცხო ძალის ბატონობას საქართველოში ალტერნატივად არ მივიჩნევთ.

I.

1988 წლის 26 მაისს შესრულდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენის სამოცდამეათე წლისთავი, რაც, უდავოა, გვაძლევს საბაბს გადავხედოთ ჩვენი ერის მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ცხოვრებას, რომელმაც შობა 1918 წლის 26 მაისი, ჩვენი ეროვნული დღესასწაული.

II.

მართალია, „პირველი დასელები“, „მეორე დასელები“ და „მესამე დასელები“, ისე როგორც მათი მომდევნო პოლიტიკური პარტიები, ყველა, გამოუკლებლივ იბრძოდენ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის, მაგრამ ჩვენი ერის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება „ძლიერი მფარველის“ აჩრდილში მოექცა, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს თავი დაეღწია გაუთავებელი ომებისაგან თურქეთისა და სპარსეთის მხრიდან, რის შედეგად საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში შეიქმნა ბჭობა ჩვენი სამშობლოს მომავალი პოლიტიკური ბედის შესახებ, რომლის დროს ნათელი გახდა, რომ საქართველოს, პირველყოვლისა, ქართლ-კახეთის სამეფო, ეს საყრდენი ძალა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა საერთოდ, - უფრო „ძლიერი მფარველის“ გამონახვით იყო დაკავებული, ვიდრე საუკუნოვანი სუვერენული უფლებების შენარჩუნებით, რომლის საძირკველი იყო საქართველოს მაშინდელი დიდი მეზობელი სახელმწიფოების - რუსეთის, თურქეთისა და სპარსეთის - დიდმპყრობელურ წინააღმდეგობათა ისეთი დიპლომატიური ხერხებით გამოყენება, რომ საქართველოს - ამ სახელმწიფოებს შორის - მარეგულირებელი როლი ეთამაშა, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ, თუ გნებავთ, „ბუფერულ“ სახელმწიფოს.

III.

და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მზემ მაშინ იწყო ჩასვლა, როცა ერეკლე მეორემ „ძლიერი მფარველის“ ძებნა დაიწყო, რაც საქართველოს საუკუნეობრივი საერთაშორისო პოლიტიკური კურსის გადასინჯვას უდრიდა. იმის მაგივრად, რომ საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებს უფრო საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის ებრძოლათ, რომლის რეალური

ბაზა თვით ერეკლე მეორეს დროს შეიქმნა, როცა ქართლის მეფე თეიმურაზ II გარდაიცვალა (პეტერბურგი, 1762 წ.) და მისი შვილი ერეკლე II ქართლ - კახეთის მეფე გახდა,-მან მაინც რუსი მოხელეების, ელჩების, მოგზაურების რჩევას დაუჯერა-რუსეთის სახელმწიფოს მფარველობა ითხოვა, რასაც მოყვა 1783 წლის რუსეთ-ქართლ-კახეთის „მეგობრობითი პირობის“ ანუ „ტრაქტატის“ დადება, რის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ უარი თქვა საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ წარმოებაზე, და ამით უარი თქვა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და სუვერენობაზე. რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლას (შემოსვლამ, - ე. ნ.) კი ოსმალეთი და სპარსეთი განარისხა, რითაც ქართლ - კახეთი, და ამით საქართველო, უფრო რთულ მდგომარეობაში მოექცა, ვიდრე იყო 1783 წლის გეორგიევსკის დადებამდე.

IV.

აიღო რა რუსეთის ორიენტაცია, მეფე ერეკლემ ამით უარყო საქართველოს საუკუნოვანი საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების უთანხმოებას მათს იმპერიულ, იმპერიალისტურ პოლიტიკაში მოხდენილად იყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შენარჩუნების მიზნით, იმ დროსაც კი, როცა ერთიანი და განუყოფელი საქართველო სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცდა. და ამით განხეთქილება მოხდა საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს შორითაც, რომლის დროს მეფე ერეკლე და მისი მომხრეები დაადგენ (დაადგნენ, - ე. ნ.) „ძლიერი მფარველის“ მონახვის პოლიტიკურ კურსს, ხოლო ამგვარი პოლიტიკის მოწინააღმდეგეების გამომხატველია თვით მეფე ერეკლეს მსაჯული სოლომონ ლეონიძე, რომელთა არგუმენტაციას ნიკოლოზ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა-ში“ ასე აღწერს : „ახლა კი დროა, სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა“, ამბობს ერეკლე, რაზედაც სოლომონ ლეონიძე პასუხობს : „ჯერ სამაგისო რა გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება ?“ სოლომონის მეუღლის - სოფიოს - პირით კი ბარათაშვილი ამბობს : „ ... ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება ?“

V.

მართალია, დიდ ერეკლე მეფესაც არ შეეძლო (თუ ვერ შესძლო ?) განეჭვრიტა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მუხანათური თვისება,-როცა რუსეთმა 1783 წლის ტრაქტატი ცალმხრივად დაარღვია და 1801 წელს - ჯერ - ქართლ-კახეთი, ხოლო შემდეგ მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის პროვინციად აქცია, - მაგრამ ისტორიული ფაქტი რჩება ფაქტად, რომ ერეკლე მეორემ უარი თქვა საქართველოს სახელმწიფოს ს რ უ ლ დამოუკიდებლობასა და სუვერენობაზე, როცა მან ხელი მოაწერა 1783 წლის ტრაქტატს; და ამით - რაც უფრო არსებითია - საქართველოს, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ალტერნატივად აქცია „ძლიერი მფარველის“ მონახვა და ჩვენი სახელმწიფოებრივი მეობის მასზე ორიენტაცია. ამის შედეგად, საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაქრა არა მარტო საერთაშორისო ასპარეზიდან, არამედ, 1918 წლის 26 მაისამდე, საქართველო უკვე აღარ არსებობდა როგორც ადმინისტრაციული ერთეულიც კი; და ქართველი ერის ასიმილაციის რეალური შესაძლებლობის ბაზასაც ქმნიდა რუსი დიდმპყრობელი-შოვინისტები მთელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე.

VI.

ქართველი ერის გაუთავებელი აჯანყებებისა და ამბოხებათა შედეგად, „პირველ დასელთა“ მამამთავარმა - დიდმა ილიამ - დევიზით „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, უკვე მოაგონა ქართველ ერს, რომ „... ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება ?“ „მეორედასელებმა“ და განსაკუთრებით „მესამედასელებმა“ განავითარეს დიდი ილიას აღნიშნული აზრი და მას სოციალური განზომილება მისცეს, რაც „მესამე დასის“ სამოქმედო პროგრამაში ასეა ჩამოყალიბებული : „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა - ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა“ (1893 წელი). ამით კი „მესამედასი“, - დიდი ნოე ჟორდანიას მეთაურობით, საქართველოს არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-მოპოვების გზას დაადგა, არამედ, მას ზევით, თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი - ერისა და პიროვნების თავისუფლება - ს ო ც ი ა ლ უ რ ი კომპონენტით გააპოხიერა-გაამდიდრა, რის შედეგად დემოკრატიის ცნება სოციალური დემოკრატიის ცნებით შეცვალა, და ამით, საქართველოს სახელმწიფოებრიობა თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური განვითარების დონეს შეუფარდა, რაც პრაქტიკულად განხორციელების გზას დაადგა, როცა 1918 წლის 26 მაისს, 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, ისევ აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

VII.

მაგრამ ამ დიდი ეროვნული გამარჯვების დროსაც, ე. ი. 1918 – 1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის, „პატარა ‚ოქროს ხანის’ “ დროსაც, საქართველოში, ქართველ ხალხში მაინც გამოჩნდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის „ალტერნატივის“ მიმდევრები, ე. ი. „ძლიერი მფარველის“ მძებნელები, და ეს ფუნქცია, ამ-ჯერად, გადაიბარეს ქართველმა ბოლშევიკებმა, რომლებმაც ვერ დაინახეს, ან არ სურდათ დაენახათ დიდი, დიდი მონაპოვარი „26 - სი მაისისა“ : 1 9 1 8 წ ლ ი ს 26 მ ა ი ს ი ს შ ე დ ე გ ა დ, - თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ, ისევ აღსდგა საქართველოს ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო მის თითქმის მთელს ისტორიულ ტერიტორიაზე, რომლის დროს საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის მონარქიული სისტემს შეიცვალა რესპუბლიკური სისტემით. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მოხდა საზოგადოებრივი საკუთრებისა და კერძო საკუთრების შეპირაპირება-როგორც ინდუსტრიაში, ისე სოფლის მეურნეობაში,-რომლის დროს ს ო ც ი ა ლ უ რ ი საბაზრო მეურნეობა, ე. ი. მოთხოვნილება - მიწოდების „მოტორი“ მოქმედებაში დარჩა. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე, შემუშავებულ და მიღებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც სანიმუშო დემოკრატიულ კონსტიტუციად შეიძლება ჩაითვალოს დღესაც, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამოცდა-მეათე წლისთავზედაც.

VIII.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წესწყობილება კი აგებულ იქნა უფლებრივი სახელმწიფოს სამ საყრდენ სვეტზე, რომლის დროს ადმინისტრაცია (მთავრობა), კანონმდებლობა (პარლამენტი, დამფუძნებელი კრება) და

მართლმსაჯულება (სასამართლო) სახელმწიფო ძალაუფლების გამომხატველნი და ცხოვრებაში გამყარებულნი იყო, რომლის დროს თავისუფალი პრესა, ინფორმაციის საშუალებანი სახელმწიფო ძალაუფლების „მეოთხე სვეტის“ ფუნქციას ასრულებდა, რის შედეგად სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა თითქმის სრულიად გამოთიშული იყო. და, სხვათა მრავალთა შორის, თან თუ ავღნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიული, თავის-უფალი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თორმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ და დაჯგუფებამ, რომელთაგან ოთხი პარტიის-საქართველოს სოციალდემოკრატიული (სოციალ-დემოკრატიული, - ე. ნ.) პარტიის, ეროვნულ დემოკრატიული (ეროვნულ-დემოკრატიული, - ე. ნ.) პარტიის, სოციაუ-რევოლუციური (სოციალისტ-რევოლუციური - ე. ნ.) პარტიისა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დეპუტატები ქართველმა ხალხმა წარგზავნა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, - მაშინ ნათელი ხდება, რომ 26 მაისი, 1918 წლისა, არის გარდატეხის თარიღი საქართველოს ისტორიაში - დამყარდა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა საქართველოს ყოველი მოქალაქის სუვერენულ უფლებებს; ე. ი. 1918 წლის 26 მაისს ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო ორგანიზმის სუვერენი გახდა ქართველი ხალხი, ქართველი ერი. და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ისტორიული ტრაგედია გახდა საქართველოს, ქართველი ხალხისათვის ჩვენი ეროვნული ამგვარი თავის - უფლების მოტაცება მომხდური, უცხო ძალის მიერ, რაშიც ისევ გამომჟღავნდა ქართველი ერის განსაზღვრული წრის ე. წ-ლი „ძლიერი მფარველისაკენ“ მისწრაფების დამღუპველი საგარეო პოლიტიკა.

IX.

1921 წლის თებერვალ-მარტში, ამგვარად, ქართველმა ბოლშევიკებმა ჩრდილში დააყენეს ერეკლესდროინდელი „ძლიერი მფარველის“ მძებნელები, როცა ერთიან და განუყოფელ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, თითქმის მის მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე დამყარებულს, ხანჯალი ჩაარტყეს ზურგში და, ამჯერად, წითელი რუსეთის წითელ არმიას შემოუძღვენ (შემოუძღვნენ, - ე. ნ.) საქართველოში, რასაც მოყვა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ - მარტის ომი, რომელშიც ახალგაზრდა ქართულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ მედგრად შეეტაკეს (ქართული არმია და სახალხო გვარდია მედგრად შეეტაკნენ, - ე. ნ.) მომხდურ მტერს და არაერთი მწარე მარცხი აგემეს, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებზე ტაბახმელასთან, მაგრამ რა შეეძლო გაეკეთებია პატარა საქართველოს რუსეთის აურაცხელი ჯარისკაცთა შემოტევების წინააღმდეგ ?!.. ასე გაბატონდა საქართველოში ბოლშევიზმი, რომელმაც ფეხით გათელა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენული უფლებები, რის შედეგად საქართველო გაქრა საერთაშორისო ასპარეზიდან და რუსეთის, ამჯერად, საბჭოთა კავშირად წოდებული სახელმწიფოს პროვინციათ აქცია.

X.

საკვირველია მხოლოდ „ძლიერი მფარველთა“ მძებნელების - ვთქვათ პირდაპირ - მ ო ნ უ რ ი ფსიქოლოგია : ქართველთა ეს ერთი ჯგუფი, როგორც სჩანს, ისე მიეჩვია უცხო სახელმწიფოთა ბატონობას საქართველოში,-იყვნენ ესენი არაბები, მონგოლები, თურქები თუ სპარსელები -, რომ დღესაც, ატომურ, ელექტრონიკის თუ გენტექნიკის ეპოქაში შუა-

საუკუნეების კატეგორიებით აზროვნობენ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა ვერ წარმოუდგენიათ „ძლიერი მფარველის“, ე. ი. „ძლიერი ბატონი-სახელმწიფოს“, ან უფრო ზუსტად, „ძლიერი მონათ-მფლობელის“ გარეშე, მიუხედავათ იმისა, რომ მსოფლიოში უკვე ათობით, ასობით საქართველოსავით პატარა სახელმწიფოები არსებობენ ყოველგვარი „ძლიერი მფარველი“ სახელმწიფოს გარეშე, ვინაიდან, უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია ქადაგებს „თანასწორობას ... დიდი და პატარა ხალხებისა“, ხოლო 1975 წელს, ჰელსინკში, ხელმოწერილ იქნა „ევროპაში უშისროებისა (უშიშროებისა, - ე. ნ.) და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი“, ბრეჟნევის ხელმოწერითაც, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია : „ყოველ ხალხს მუდამ აქვს სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს ... საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად“. ბოლშევიკების „ძლიერი მფარველის“ მძებნელობამ კი ყველა საზღვარს გადააჭარბა, როცა 1921 წელში, საქართველოში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებისას, უცხო დამპყრობლებს წინ უსწრებდნენ საქართველოს ტერიტორიის „გაჩუქებაში“, რომლის შედეგად საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის (და მოსახლეობის) თითქმის ერთი - მეოთხედი.

XI.

ამის შემდეგ უკვე გავიდა სამოცდა-შვიდი წელიწადი და - მიუხედავათ ბოლშევიკური დიქტატურისა, - რამაც დიდი, დიდი ფიზიკური ზიანიც მიაყენა ქართველ ხალხს განსაკუთრებით 1936-1937 წლებში თუ მეორე მსოფლიო ომის დროს, რომელშიც ჩვენმა პატარა ერმა სამასი-ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა, - საქართველოს დღეს ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ. სოციალური მონაცემები გააჩნია იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მაგრამ მოსკოვი, ამ-ჯერად, მიხეილ გორბაჩოვის პირით, გვეუბნება : „სამართლიანად ვამბობთ, რომ ეროვნული საკითხი ჩვენში გადაჭრილიაო!“ და, მიუხედავათ იმისა, რომ თვით მიხეილ გორბაჩოვის მოთხოვნით დღეს საბჭოთა კავშირში თითქოს „საჯაროობა“, „გარდაქმნა“ და „დემოკრატიზაცია“ ბატონობს, - ქართველი კომუნისტები, თვით საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ჩათვლით, ენის ამოღებას ვერ ბედავენ საქართველოს სახელმწიფოებრივი უუფლებობის შესახებ, თუმცა რომელ ქართველს, თითო-ოროლა „გზა-აბნეულთა“ გარდა, არ სურს, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს ?!..“

XII.

ნუთუ დღესაც, როცა გორბაჩოვისეული „გარდაქმნის“, „საჯაროობის“ და „დემოკრატიზაციის“ ხანა დადგა, შეუძლებელია თვით საბჭოთა საქართველოში ოფიციალურად წამოიჭრას საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი, მით უმეტეს, რომ - საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციებიც კი - საქართველოს „სუვერენულ“ რესპუბლიკას უწოდებს და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლებასაც კი ანიჭებს ?... ვითომ ამ შემთხვევაშიც ბატონობს ქართველი ხალხის ის მცირე ნაწილი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოს არსებობა „ძლიერი მფარველის“ გარეშე ვერ წარმოუდგენია და ასეთ „ძლიერ მფარველად“ მხოლოდ რუსეთს თვლის ?..

XIII.

ავღნიშნავთ რა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის სამოცდა-მეათე წლისთავს, ჩვენ კარგად გვესმის „იქ“, საბჭოთა საქართველოში „ძლიერ მფარველთა“ მძებნელების - ნებსითი თუ უნებლივ - მოქმედება, როცა იძულებული არიან ასტრონომია-გეოგრაფიის კანონზომიერებაც კი მიივიწყონ, რომ თქვან - „საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო!“ მაგრამ გვანცვიფრებს აქ, პოლიტიკურ ლტოლვილობაში ზოგიერთ „ძლიერ-მფარველთა“ მძებნელის არგუმენტაცია : საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივი უ უ ფ ლ ე ბ ო ბ ი ს „გამართლებას“ იმით ლამობს, რომ თუ რუსები არა, მაშინ თურქები დაგვიპყრობენო ?!.. და აქ მაგონდება ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის (კ. ე.) ჩამაფიქრებელი აზრი : ჩვენ - თქვა მან - დამპყრობლებშიც არ გვქონდა იღბალი; ინგლისელების ან ფრანგების კოლონია რომ ვყოფილიყავით, დღეს არა მარტო დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიქნებოდით, არამედ ევროპულ კულტურას უფრო ვეზიარებოდითო !.. რა თქმა უნდა, ამგვარი შეხედულება - თუ ერს, სახელმწიფოს სურს შეინარჩუნოს თავისი მეობა - ყალბია, მიუღებელია, ვინაიდან ერი, სახელმწიფო მაშინ ადგება დაღუპვის გზას, როცა „კარგ“ დამპყრობელს ამჯობინებს „ცუდ“ დამპყრობლებს : არ არსებობს და არასოდეს არც არსებობდა „კარგი“ დამპყრობელი; და თუ ჩვენს შორის, აქ, ემიგრაციაშიდაც მოიპოვება თითო-ოროლა ამგვარი აზრის (თუ უაზრობის) გამზიარებლები, დროა შეიგნონ, რომ მონა იმ დროსაც მონაა, როცა მას არ ესმის, რომ ის მონაა (ფ. ლიმერი); და ნუ თუ ქართველი, რომელი პოლიტიკური მრწამსის არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, არ იტყვის, რომ „ ... ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება ?..“

XIV.

თითო-ოროლა ქართველ „ძლიერი მფარველის“ მძებნელებს კი მოვუწოდებთ, რომ რამდენად ადრე დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველოს „ძლიერი მფარველია“ არა რომელიმე სახელმწიფო და ერი, არამედ მხოლოდდამხოლოდ ქართველი ერი, მით უკეთესია პირადად მათთვის და ამით საქართველოსათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ - თუ აღნიშნულ ალეგორიულ გამოთქმას გადავაკეთებთ - საქართველოს მზე მხოლოდდამხოლოდ საქართველოში ამოდის; და ამ მზემ - 1918 წლის 26 მაისს - ისევ გაასხივოსნა საქართველო, რომლის სამოცდა-მეათე წლის თავს დღეს ავღნიშნავთ.

XV.

„26 მაისის“ ალტერნატივა არ არსებობს, თუ ალტერნატივათ არ მივიჩნევთ უცხო ბატონობას საქართველოსა და ქართველ ერზე, რაც მ ო ნ ო ბ ა ა მიუხედავათ იმისა „კარგია“ თუ „ცუდი“ მონათმფლობელი. ამდენად, დავირაზმოთ 26 მაისის ეროვნული სამფეროვანი დროშის ქვეშ და ერთად შევსძახოთ სიტყვით და საქმით :

დიდება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დღეს !..

დიდება საქართველოს !..

დიდება ქართველ ერს !..“ (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, ბ. : 4-8).

II (ე. ნ.) მსოფლიო ომის შემდეგ, საფრანგეთის ქართულ სათვისტომოში ყოველწლიურად თითქმის უცვლელი წესით ტარდება ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავების აღნიშვნა :

I. 26 მაისს ყოფილ მეომართა საზოგადოების გაძლიერებული დელეგაცია ცოცხალი ყვავილებით ამკობს საფრანგეთის უცნობი ჯარისკაცის საფლავს და იქ ასრულებს საპატივცემო ცერემონიას, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაშლილი ალამით ხელში.

II. შემდგომად ამისა, მიმწუხრზე ჩვენს ეკლესიაში სრულდება ლიტურღია და პარაკლისი,

III. მეორე ან მესამე დღეს იმართება ხოლმე სახალხო დღესასწაულობა: მიტინგით, ვახშმით და მხატვრული განყოფილებებით (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 14-15).

1988 (ე. ნ.) წელსაც ყველაფერი ჩატარდა ტრადიციულად (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15).

26 მაისის აღსანიშნავად ისე, როგორც ყოველ წელს, პარიზის ქართველობა საზეიმო ვითარებაში შეიკრიბა ვარსკვლავის მოედანზე („ეტ..ალ“), რათა გაეღვივებინათ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მუდმივად ჩაუქრობელი ცეცხლის ალი.

ჩვენი თანამემამულეები მრავლად მოვიდნენ ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად. მოვიდნენ აგრეთვე გმირი პოლკოვნიკის, გ. ამილახვარის ლეგიონერებიც, რომლებიც გვერდში ამოუდგნენ ქართული დროშით მდგარ საპატიო ყარაულს - ჟურნალ „გუშაგის“ დირექტორს (რედაქტორს, - ე. ნ.), გიორგი წერეთელს. სათვისტომოს თავმჯდომარეს ცერემონიის ხელმძღვანელმა კომენდანტმა გადასცა ტრადიციული ხმალი, რომლითაც ჩვენი სათვისტომოს ახალგაზრდა თავმჯდომარემ ააგიზგიზა უცნობი ჯარისკაცის (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 129) საფლავზე ცეცხლის (ე. ნ.) ალი.

დასასრულს თავმჯდომარემ, რომელსაც წინ მიუძღვებოდა ვარსკვლავის მოედნის კომენდანტი, ხელი მოაწერა ოქროს წიგნს და ამის შემდეგ ყველა დამსწრე ქართველობამ გადაიღო ტრადიციული ფოტოსურათები.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ ქართველობა გაეშურა ქართულ ეკლესიაში, სადაც უნდა შესრულებულიყო საეკლესიო ღვთისმსახურება დიადი ეროვნული თარიღის 26 მაისის აღსანიშნავად (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 129).

ჩვენს პატარა ეკლესიაში, როგორც ყოველ წელს, სამწუხაროდ, აღარ შემოეგებათ თავისებური მომხიბლავი ღიმილით მათი საყვარელი, სათნო და მუდამ მოსაგონებელი მამა ილია (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) მელია (ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1988 წლის 15 მარტს, გარდაიცვალა პარიზის წმინდა ნინოს (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, ა. : 92) სახელობის (ე. ნ.) ქართული ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი მამა ილია მელია, რომელიც, პარასკევს, 18 მარტს, დაკრძალულ იქნა პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, ა. : 92). დაკრძალვას (ე. ნ.) დაესწრო უამრავი ხალხი (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 26 მაისი, Nr. 5 (23), 1988, ა. : 92)). მისი ადგილი დაიკავა მამა გაბრიელ ანრიმ (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15), იშვიათი ხმის მქონე, მგალობელმა ბერძენმა მღვდელმა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130), რომელმაც (ე. ნ.) სწირა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) და (ე. ნ.) წირვის დამთავრების შემდეგ, მიმართა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) ქართველობას (ე. ნ.) მგრძნობიარე სიტყვით, მიულოცა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) მათ (ე. ნ.) 26 მაისი და დასძინა, რომ თვითონ იყო კვიპროსიდან და იცოდა, თუ რა ძნელი და აუტანელი იყო ეროვნული ჩაგვრა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130).

1988 წლის 17 ივნისს, პარასკევს, საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველობამ შესაფერისი სიფაქიზითა და ეროვნული შთაგონებით აღნიშნა საქართველოს ეროვნული დღესასწაული 26 მაისი. პარიზის მეთოთხმეტე უბნის (რაიონის) (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) ქალაქის (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) თვითმმართველობის (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) საბჭოს დიდ დარბაზში თავი მოიყარა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველობამ. 1988 წელს 26 მაისი აღინიშნა მოგვიანებით იმიტომ, რომ აღნიშნული შესანიშნავი დარბაზი დაკავებული იყო საფრანგეთში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების გამო (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62). სუფრებით გაშლილი დარბაზი სავსე იყო ქართველი და უცხო სტუმრებით (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130).

დიდ საპატიო მაგიდას უსხდნენ: უნგრელების, პოლონელი „სოლიდარისტების“, ავღანელების, იუგოსლავიელების, უკრაინელების, ბელორუსების, სომხების, ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები, ქართველებიდან - (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) „ქართული (ე. ნ.) ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელი ვიქტორ ხომერიკი და სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე თამაზ ნასყიდაშვილი (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130).

ზეიმი გახსნა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) და (ე. ნ.) ქართულად (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) მიულოცა რა 26 მაისის დიადი დღე (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) საზოგადოებას (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15), ფრიად (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) შთამაგონებელი (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) შინაარსიანი (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) სიტყვა წარმოსთქვა ქართული სათვისტომოს (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) გამგეობის (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) თავმჯდომარემ - ოთარ პატარიძემ (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), რომლის სიტყვას (ე. ნ.) წინ უძღოდა (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) ქართული ეროვნული ჰიმნის „დიდების“ და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის „მარსელიოზას“ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 130) შესრულება არა მარტო სცენაზე გამოსული გუნდის, არამედ მთელი საზოგადოების მიერ (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62). თავმჯდომარემ თავის სიტყვაში (ე. ნ.) დალოცა 1918 წლის 26 მაისი, როგორც ჩვენი ეროვნული ერთობის სიმბოლო, სიამაყით აღნიშნა საქართველოში ეროვნული მოძრაობის განახლება, კერძოდ, ის, რომ ქართული საბჭოთა პრესის ცნობით, საბჭოთა იდეოლოგიამ ვერ გაანადგურა 26 მაისის რეალობა, 26 მაისის იდეალები კიდევ ცოცხლობდა საქართველოში, რასაც ადასტურებდა ემიგრაციამდე მოღწეული ქართველი ერის სამართალდამცავი და ეროვნული მოძრაობის მესვეურთა და ორგანიზაციათა მიერ გაკეთებული განცხადებები და დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვდნენ 26 მაისის, როგორც საქართველოს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულის, ოფიციალურად აღნიშვნას და ქართულ ემიგრაციას მოუწოდა საქართველოში განახლებული და მიმდინარე ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერის (ე. ნ.), ერთობისა და ურყევი იმედისაკენ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131), რადგან ერთი რამ იყო ცხადი - 26 მაისი და სამშობლოს სიყვარული აერთიანებდა მთელ ქართველობას არამარტო საქართველოში, არამედ ემიგრაციაშიც. სიტყვაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„ძვირფასნო და პატივცემულნო ქალბატონებო და ბატონებო!

70 წელიწადია, რაც ჩვენმა მამაცმა ერმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა და, 117 წლის ტყვეობის შემდეგ, დაუბრუნდა თავისუფალ ერთა ოჯახს. ხუთშაბათს, 26 მაისს 1918 წლისა, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში, დამოუკიდებლობის 7 მუხლიანი აქტი წაიკითხა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. ღმერთმა დალოცოს ეს დიადი დღე, რომელიც ჩვენი ეროვნული ერთობის სიმბოლოა!

როგორც ქართულ საბჭოთა პრესიდან ვგებულობთ, საბჭოთა იდეოლოგიამ ვერ გაანადგურა ოცდაექვსი მაისის რეალობა. ოცდაექვსი მაისის იდეალები კიდევ ცოცხლობს საქართველოში, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს ჩვენი ერის სამართალდაცვითი და პატრიოტული მოძრაობის, მათ შორის ახლახან დაარსებული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“-ს ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა განცხადებები და დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვენ 26 მაისის, საქართველოს მკვდრეთით აღდგენის დღესასწაულის ოფიციალურად აღნიშვნას. **ნისლი გადაიშალა...** ცხადია, ისტორია არ უნდა იყოს დანისლული.

საინტერესოა და დამაფიქრებელიც კი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“, რომელსაც ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, აექეოლოგიის (არქეოლოგიის, - ე. ნ.) და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი უშანგი სიდამონიძე. ნება მიბოძეთ ამ სტატიიდან ორიოდე სტატია (უნდა იყოს „სტრიქონი“, - ე. ნ.) გაგაცნოთ.

„ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულს ადგილს დაიკავებს 1918 წლის 26 მაისი. ისტორიისათვის უცხო არ არის, როდესაც ერის ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, გარკვეული პერიოდის მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით და, უფრო ხშირად კი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მივიწყებულია; მისი აღნიშვნა, მოგონება აკრძალულია. ცხოვრების პროგრესი, წინსვლა, საზოგადოების დემოკრატიზაცია ბოლოს ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სიმართლე იმარჯვებს“.

ქალბატონებო და ბატონებო, ფიცი მწამს... ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ყოველ პატიოსან ქართველს ესიამოვნება. მოდით, ვნახოთ, ნუ ავღელვდებით, დაუშვებელ შეცდომებს ნუ ჩავიდენთ, წყნარად და ობიექტურად უცქიროთ ფაქტებს. მხოლოდ ერთი რამ ცხადია: 26 მაისი და სამშობლოს სიყვარული აერთებს მთელ ქართველობას, არა

მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც.

დიდება ქართველ ერს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, დ. : 15-16).

მის შემდეგ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) ფრანგულად (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარის მოადგილემ, ექიმმა ოთარ ზურაბიშვილმა, რომელმაც (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) თავის სიტყვაში აღნიშნა ის, რომ ჩვენი ერის ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 70-ე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნას, ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა, რადგან იგი გამოხატავდა მათ იმედებს საქართველოში იმჟამად მიმდინარე მოვლენების შუქზე, ამხილა საბჭოთა იმპერიული რუსული ხელისუფლების ახალი დიდმპყრობელურ-შოვინისტური ტაქტიკა საქართველოს მიმართ, გამოკვეთა ამის საპასუხოდ საქართველოს ოპოზიციური ძალების დარაზმულობა ეროვნული ხასიათის მოთხოვნებით და საბჭოთა იმპერიული რუსული ხელისუფლების ახალ ტაქტიკაზე საპასუხოდ საზოგადოებას მოუწოდა

ეროვნული ერთიანობისკენ და ერთა შორის ერთიანობისაკენ. მის სიტყვაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„დღეს აღვნიშნავთ ჩვენი ერის ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, 70 წლისთავს.

დღეს, ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშვნას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი გამოხატავს ჩვენს იმედებს. საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების შუქში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წლისთავს. საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხმაურით ლაპარაკობს ცხოვრების ლიბერალიზაციაზე, რაც მას შენიღბულ შესაძლებლობას აძლევს დათრგუნოს მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ოპოზიცია. შეიძლება ითქვას, რომ რეპრესიების ტრადიციული ფორმები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ის ადგილს უთმობს ჩუმ ძირგამომთხრელ პროცესს. ცენტრალური ხელისუფლება ამჯერად პერიფერიული რესპუბლიკების მიმართ უფრო მოქნილ სტრატეგიას მიმართავს, იგი ქმნის კონფლიქტებს თვით ცალკეულ ერებში, ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა რელიგიებს თუ ეროვნებებს. ამ ვითარებას სამაგალითოდ ასახავს მესხების პრობლემა. როგორც ვიცით, 300.000 მესხი სტალინის დროს დეპორტირებული იქნა შუა აზიაში. ქართველი ინტელიგენციის დაწოლის წყალობით სამას ოჯახს მიეცა სამშობლოში დაბრუნების უფლება, მაგრამ არა მშობლიურ კუთხეში. საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა ღიად მოითხოვს მესხების სრულ რეპატრიაციას და მათთვის წინანდელი ეროვნების დაბრუნებას, ესეიგი ქართველობისას. ასეთ პირობებში ბუნებრივად იბადება კითხვა ამგვარი კონფლიქტების დასაბამსა და მიზეზებზე...

რეგიონალური კონფლიქტების ჩანერგვის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლება სხვა სახის ტაქტიკასაც მიმართავს, მათ შორის, ისტორიული და კულტურული ძეგლების განადგურებას, ბუნებრივი მონაცემების ხელოვნურად შეცვლას, რასაც შედეგად მოსდევს გეოლოგიურ-მეტეოროლოგიურ-ეკოლოგიური პერტურბაციები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ დავით გარეჯის და გელათის უნიკალური ხელოვნების ძეგლები, პირველი მეექვსე საუკუნის, რომელიც ახლა არტილერიის პოლიგონადაა გადაქცეული, ხოლო, მეორე კი, დავით აღმაშენებლის მიერ აგებული დიდებული აკადემია დღეს უწყალოდ ზიანდება ზებგერითი სამხედრო თვითმფრინავების სასწავლო ფრენათა შედეგად, ასევე ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა დიდ ეროვნულ მუქარას წარმოადგენს ჩვენი სამშობლოსათვის, როგორც დომინაციისა და ასიმილაციის იარაღი და ის წარმოადგენს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს შედგენილი გეგმების კონკრეტიზაციას. ამის შედეგად, საქართველოს ოპოზიცია, რომელიც წინად მხოლოდ ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძოდა, დღეს ირაზმება ეროვნული ხასიათის მოთხოვნებით. სწორედ ამ სულისკვეთებით საქართველოში დაარსდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის მიზნები მთლიანად შეესაბამება ჩვენსას.

საბჭოთა რუსული ხელისუფლების ახალ ტაქტიკაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს - ეს არის ერთიანობა.

ეროვნულ ერთიანობასთან ერთად საჭიროა არსებობდეს ერთა შორის ერთიანობაც. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ჩვენი მეზობლებისა და მეგობრების დასწრება დღეს, ამ საზეიმო შეკრებაზე. სომეხ, ავღანელ, ლიტველ, უკრაინელ, რუმინელ და იუგოსლაველ წარმომადგენელთა ამ დარბაზში ყოფნა არის სიმბოლო ჩვენი ერთიანობისა. ეს არის ჩვენი პასუხი დღეს.

გაუმარჯოს ოცდაექვს მაისს!..“ (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, გ. : 17-18).

ფრანგულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა გია სარჯველაძემ. მანაც ხაზგასმით აღნიშნა 26 მაისის ეროვნული მნიშვნელობა, 26 მაისისა, როცა ამ 70 წლის წინათ, ჩვენს დედაქალაქში - თბილისში - მთავრობის სასახლეში, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა და წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62).

გია სარჯველაძის სიტყვის შემდეგ, სიტყვები წარმოსთქვეს უცხოელმა სტუმრებმა (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62). მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს ყველა ერების წარმომადგენლებმა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131). გია სარჯველაძე (ე. ნ.) ტრიბუნაზე შეცვალეს სტუმრად მოწვეულმა, ჩვენს ბედში მყოფ ერთა: (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) ბალტიის ქვეყნების (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), სომხეთის, უკრაინის, პოლონეთის, ავღანეთის, ლიტვის, რუმინეთის, იუგოსლავიის ემიგრაციების წარმომადგენლებმა (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15).

მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) პოლონელი „სოლიდარისტების“ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) წარმომადგენლის სიტყვამ (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62). მან აღტაცებით აღნიშნა ქართველი მხედრობის როლი პოლონეთის არმიაში (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) (როცა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წელს (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), ეს ის ქართველი ოფიცრობაა, რომელიც გამოყვა ეროვნულ მთავრობას უცხოეთში და მათი ერთი ნაწილი ამ უკანასკნელმა პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში (სკოლებში) გააგზავნა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131). შემდეგ მსახურობდნენ პოლონეთის არმიაში (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62)), მათი ბრძოლები პოლონელებთან ერთად ფაშისტურ გერმანიის წინააღმდეგ, განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია გენერალი ჩხეიძე, რომელმაც დაუვიწყარი ამაგი დასდო პოლონეთის არმიას (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131). როცა იგი შეეხო პოლონელი ოფიცრების დახვრეტას „ჩეკა“-ს მიერ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), დიდი მწუხარებით განაცხადა, რომ კატინის ტყეში საზარლად გათხრილ ცივ ორმოებში, რუსების მიერ სამარცხვინოდ მოკლულ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131) ოთხი ათას (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) პოლონელ ოფიცერთა შორის განისვენებდა ოთხი ქართველი მაღალი ჩინის ოფიცერი, რომლებსაც პოლონეთი არასოდეს არ დაივიწყებდა. მოვიდოდა დრო, ამ წამებულთა საფლავებზე აღიმართებოდა მათი უკვდავების ძეგლი, სადაც ამოტვიფრული იქნებოდა დიდი პატივითა და სიყვარულით ქართველ ოფიცერთა სახელები (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 131).

მხურვალე სიტყვით მოგვილოცა 26 მაისი ავღანეთის წარმომადგენელმა და გვისურვა სულ მოკლე ხანში თავისუფალ ქაბულში განთავისუფლებულ საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად ამ დიდებული თარიღის საზეიმო აღნიშვნა.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა უნგრელთა თავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო ფედერაციის ცენტრალური და ორიენტალური ევროპის წარმომადგენელიც, მოგვილოცა 26 მაისი და გამოთქვა გამარჯვების და საბჭოთა იმპერიის დამხობის შეუდრეკელი რწმენა (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132).

26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, გაიმართა (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) საღამოს მხატვრული განყოფილება (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) : (ე. ნ.) ქართული (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) ხალხური (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) სიმღერებისა და ცეკვების კონცერტი. ახალგაზრდა ქართველთა გუნდმა (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), ქართულ ტანსაცმელში მორთულ-მოკაზმულმა აქ დაბადებულმა ახალგაზრდობამ (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132), ოთარ პატარიძის ლოტბარობით (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), ჩონგურზე (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132) შესანიშნავად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62), რომლითაც დამსწრენი მოხიბლეს.

დასასრულს (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132), ქორეოგრაფის (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62) - კავკასიური ცეკვების პროფესორის, შოთა აბაშიძის მოწაფეებმა, მისი ხელმძღვანელობით, იშვიათი სილამაზით (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132), ნამდვილი ქართული განცდითა და ტემპერამენტით (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15) იცეკვეს ქართული ცეკვები, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132) და მსმენელ-მაყურებელთა მოწონების მხურვალე ტაში დაიმსახურა. ახალგაზრდები დარბაზიდანაც ადიოდნენ სცენაზე და შთამაგონებლად ასრულებდნენ ქართულ ცეკვებს (ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, №16, ივლისი, 1988, ვ. : 15). პროფესორი შოთა აბაშიძე დამსწრეთა მოთხოვნით სცენაზე გამოიწვიეს და მადლობის ნიშნად მხურვალე ტაშით და ოვაციებით დააჯილდოვეს (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, გ. : 132).

მშვენივრად მორთულ დარბაზში ვახშმის დროსაც არ შეწყვეტილა მხიარულება, რომლის დროს მთავარი დარბაზის გვერდით, მცირე დარბაზში, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა მოდერნული ევროპული ცეკვებით გაერთნენ. მოლხენა დილამდე გაგრძელდა (ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, აგვისტო, Nr. 6 (24), 1988, გ. : 62).

საფრანგეთის ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჯანრი კაშიამ, ინიციალებით - „ჯ. კ.“, დაბეჭდა სტატია, სახელწოდებით - **„26 მაისი პარიზში“**, რომელშიც შეაჯამა რა 1988 წლის 26 მაისთან დაკავშირებული მოვლენები, აღნიშნა 70-ე „მაისობის“ განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარება პარიზში, ხაზი გაუსვა ამ ვითარების განსაკუთრებულობას, რომელიც მომდინარეობდა საქართველოდან, სადაც სამი ოცწლედის თაობათა დუმილის შემდეგ, პირველად, ამოიღეს ხმა და ეროვნულ დღესასწაულს სათანადო ადგილი მიუჩინეს. აღნიშნა, რომ „საჯაროობამ“ და „გარდაქმნამ“, დემოკრატიზაციის პროცესმა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ დილეგიც გახსნა და პირველი სხივი, რომელიც იქიდან ამოსხივდა, იყო ქართველი ერისათვის თავისი ეროვნული დღესასწაულის დაბრუნება, თუმცა ჯერ მორიდებულად და ფრთხილსიტყვიერად, მაგრამ უკვე უკუქცეულად. თაობათა პერსპექტივში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა და როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამგვარი გარდაქმნის მიზეზი, იგი უეჭველად დადებით და იმედის მომცემ მოვლენად უნდა მიეჩნიათ. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია, - ე. ნ.):

„სამოცდამეათე მაისობა განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარდა პარიზში. განსაკუთრებულობა ამ ვითარებისა მომდინარეობდა საქართველოდან, სადაც პირველად

სამი ოცწლედის თაობათა (1926-1987) დუმილის შემდეგ ამოიღეს ხმა და ეროვნულ დღესასწაულს სათანადო ადგილი მიუჩინეს. „საჯაროობამ“ და „გარდაქმნამ“, დემოკრატიზაციის პროცესმა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დილეგიც“ გახსნა და პირველი სხივი, რომელიც იქიდან ამოსხივდა, იყო დაბრუნება ქართველი ერისათვის თავისი ეროვნული დღესასწაულისა, თუმცა ჯერ მორიდებულად და ფრთხილსიტყვიერად. მაგრამ უკვე უკუქცეულად. თაობათა პერსპექტივში ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა და როგორიც არ უნდა იყოს მიზეზი ამგვარი გარდაქმნისა, იგი უეჭველად დადებით და იმედის მომცემ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. 25 მაისს „კომუნისტმა“ მთელი გვერდი დაუთმო უ. სიდამონიძის წერილს „ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული“, რომლის ქვესათაური აფორმულებს 26 მაისის ეროვნულ-დღესასწაულებრივ არსებას; „26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“!

26 მაისი არის საქართველოს უახლესი ისტორიის, ქართული კულტურის ახალი „ღერბის პერიოდის“ საწყისი თარიღი, და ამ თარიღიდან იღებს სათავეს ყოველი მოვლენა, რომელიც ქართველ ერს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთობას, გადახდა მეოცე საუკუნეში და გადახდება ყველა მომდევნო საუკუნეებში... უკუნითი უკუნისამდე, თუნდაც რომ, ჩვენ არ ვურიგდებოდეთ მოსკოვის ცენტრალიზებული ძალაუფლების მარწუხებში ყოფნისა და ფორმალური დამოუკიდებლობის დღეს არსებულ და ჯერ გარდაუქმნელ მდგომარეობას. საქართველო არსებობს, როგორც სახელმწიფოებრივი პიროვნება, რომელიც იშვა ქართველი ერის ასწლოვანი განუწყვეტელი და თავდადებული ბრძოლის შედეგად რუსეთის იმპერიის ძალმომრე წყობის წინააღმდეგ 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე; და ეს შობა იყო ქართველი ერის განუყოფელ პიროვნებად, სრულიად კონკრეტულ არსებად მეორედ დაბადება.

1918 წლის 26 მაისი ისტორიის მიერ ფაქტად იქცა.

„დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი კვდება და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა“.

ამ სიტყვებით ეროვნული საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა საქართველოს პირველი (და, სავალალოდ, უკანასკნელი) კოალიციური მთავრობა შედგენილი ყველა ძირითადი ქართული პარტიების წარმომადგენელთაგან - ნოე რამიშვილის (სოც.-დემ) თავმჯდომარეობით.

საქართველომ ნაბიჯი გადადგა ერთდროულად არა მარტო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, არამედ, თანამედროვე სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივი წყობის ყველაზე სრულყოფილი ფორმისაკენ - რესპუბლიკურ - კონსტიტუციური, პლურალისტური წყობისაკენ. საქართველომ (საქართველოს, - ე. ნ.) 26 მაისის შემდგომი ისტორია ამავე დროს, არის ისტორია ამ გეზიდან გადახვევისა და ერთპარტიული ძალაუფლებრივ-პრივილეგირებული წყობის დამკვიდრებისაკენ. მაგრამ ყოველი გზა, იყო საქართველოს და ქართველი ერის გზა, აღნიშნული ჩვენი „დასაბამობით ნატვიფრი“ პიროვნულობით.

იმ „ძრწოლისა და დუმილის“, „მეხსიერების დაცლის“ სტალინურ და, კიდევ დიდხანს, სტალინს - შემდგომი ოცდაათწლედის ეპოქაში, ლტოლვილი ქართველობა შეუდრეკი ნებით ზეიმობდა საქართველოს მეორედ შობას. ზეიმობდა საქართველოს თავზე რისხვით წამოგრაგნული სისხლიანი ცის შემყურე; ზეიმობდა ტირანის სიკვდილით საზეიმოდ აღტაცებული; ზეიმობდა... ზეიმობდა... ზეიმობდა და თავისი რწმენით ქმნიდა საწინდარს მომავალი აღორძინებისა...

ამ რწმენით აღინიშნა 26 მაისი ამჯერადაც. პარიზში, შარლ დე-გოლის მოედნის ტრიუმფალური თაღის ქვეშ მოგიზგიზე მარადიულ ცეცხლთან ტრადიციული გვირგვინის მიტანით.

მეტად ამაღელვებელია ეს გზა: ელისეს მინდვრების ბოლოდან - ტრიუმფალურ თაღამდე. გაშლილი სამფეროვანი ფრანგული და ქართული დროშებით ჩვენი მცირერიცხოვანი, მაგრამ უდრეკი ნების გამომხატავი პროცესია შემოჯარული მანქანებისა და მაყურებლების მზერის ქვეშ, მშვიდად მიემართება ტრიუმფალური თაღისაკენ. აქ, საყვირისა და დოლის ხმაზე იხრება დროშები პატივსაცემად იმ „უცნობ ჯარისკაცთა“, ვინც თავი შესწირა თავისი და სხვისიც (სხვისი, - ე. ნ.) ქვეყნის თავისუფლების (თავისუფლებას, - ე. ნ.) - საფრანგეთისა და საქართველოს. ეს ცეცხლი, რომელიც ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარემ თამაზ ნასყიდაშვილმა ააბრიალა, სიმბოლური გამოხატულებაა თავის უფალი სულის შერხევისა და აღგზნებისა იმათში, ვინაც „მონობაში გადიდკაცებას, თავისუფლების ძებნაში სიკვდილი ამჯობინა და „ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ანაცვალა“.

შემდგომად ამისა, პარიზის წმ. ნინოს, მამა ილიე მელიას გარდაცვალებით დაობლებულ (უნდა იყოს: „შემდგომად ამისა, მამა ილიე მელიას გარდაცვალებით დაობლებულ პარიზის წმ. ნინოს სახელობის, - ე. ნ.), ქართულ ეკლესიაში ბერძენმა მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი 26 მაისის აღსანიშნავად“ (ჟურნალი „ივერია“ , პარიზი, 32, მაისი, 1988 : 89-90).

1988 წლის 28 მაისს სოშოს ქართულმა სათვისტომომ იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დიადი დღე - 26 მაისი (ჟურნალი „ჩვენი დროშა“, №114, აგვისტო, 1988, ა. : 133).

